დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ჭიათურის N7 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. მარიამ იაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. შორენა გაგუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. ირმა ბოლქვაძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. ქეთევან ბერიძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ლედი კუთხაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. ინგა კაჭარავა-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. სოფიო ჯგერენაია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. თამარი მურუსიძე- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. ქეთევან ქობალია- სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ქალაქ ჭიათურა N7 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215606333

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ჭიათურა
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ჭიათურა, დავით ცხოვრებაძის ქუჩა №11
საფოსტო ინდექსი	5500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სსიპ-ჭიათურის N7საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chiatura7@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595513416

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 7 თებერვლის -MES 7 26 0000130541 ბრძანების საფუძველზე

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	05 და 06 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი ჭიათურა, დავით ცხოვრებაძის N 11; 1 (ერთი) შენობა
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი ჭიათურა, დავით ცხოვრებაძის N 11; 1 (ერთი) შენობა
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქალაქი ჭიათურა, დავით ცხოვრებაძის N 11; 1 (ერთი) შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 7 თებერვლის -MES 7 26 0000130541 ბრძანების საფუძველზე, სსიპ-ქალაქ ჭიათურის N 7 საჯარო სკოლაში 2026 წლის 05 და 06 მარტის განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალები. რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. მასალების შესწავლის შემდეგ ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა კი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Google Meet) გამოყენებით.
ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა სკოლის ინფრასტრუქტურა მათ შორის კომპიუტერული კლასი , სპორტული ინფრასტრუქტურა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა), სკოლის ინკლუზიური გარემო, სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუირების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის პროცესებთან მიმართებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და ვიზიტის შემდეგ მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
----------	----------	----------

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, მშობელთა აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. შექმნილია მშობელთა გაერთიანება, რომელიც უზრუნველყოფს მშობელთა მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვაში. ამ ორგანიზაციამ შეიმუშავა ფორმასთან დაკავშირებული ცვლილება. ყოველ წელს იმართება გამოფენა-გაყიდვა ხელნაკეთი ნივთების (საახალწლოდ ან გაზაფხულზე), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას და მათთვის გუნდური მუშაობის სწავლებას ან ძველი ნივთებისთვის ახალი სიცოცხლის ჩუქების პრაქტიკას.

სკოლა განსაკუთრებული ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა ინიციატივების. ადმინისტაციის მხარდაჭერით, სკოლის თვითმართველობას აქვს პერიოდული გამოცემა სასკოლო გაზეთი ,,ახალი ერა" გაზეთის არსებობის მიზანი მოსწავლეთა მოტივირების გარდა, ანალიტიკური აზროვნების დახვეწაა. გაზეთს ჰყავს სარედაქციო კოლეგია, თუმცა ინფორმაციის მიწოდებისა და გამოქვეყნების შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს.

მოსწავლეთა თვითმმართველობისა და დაწყებითების კათედრის ერთობლივი მუშაობით ტარდება კონფერენცია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის ჭიათურის სკოლებს შორის. კონფერენციის მიზანია დაწყებითი კლასიდანვე მოსწავლეებისთვის კვლევის, მსჯელობისა და საჯარო გამოსვლის უნარის დახვეწის ხელშეწყობა.

სკოლა მუდმივად ჩართულია სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში ქალაქის თუ ქვეყნის მასშტაბით. მუდმივად იმართება ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები.

,,რა? სად? როდის?" -ყოველწლიური თამაში ,,შემოდგომის ლიგა". თამაში ტარდება როგორც მოსწავლეთა, ისე მშობელთა გუნდებს შორის. მხიარული და ამავე დროს ინტელექტუალური შეჯიბრი თამაშით ავითარებს სასკოლო საზოგადოებას.

დიდი დასვენება - განტვირთვა -ასეთი დასახელებით სკოლა ახორციელებს პროექტს-რადიო სკოლაში. დიდ დასვენებაზე, 10 წუთის მანძილზე ისმის სასიამოვნო მუსიკა, ლექსი (უმეტესად მოსწავლის მიერ წაკითხული) ან მნიშვნელოვანი და საინტერესო ფრაზები სხვადასხვა გონიერი ადამიანის შემოქმედებიდან.

სასკოლო საზოგადოების ინიციატივითა და ინტერესების გათვალიწინებით სკოლაში ხორციელდება საწრეო მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით - კითხის, ლოგიკური მსჯელობის, ქიმიის (,,ატომიდან გალაქტიკამდე"), სპორტის (ფრენბურთის), ლიტერატურის მოყვარეთა წრეები.

მშობლებისა და დაინტერესებული უფროსებისათვის ტარდება საჯარო ლექციები სხვადასხვა მწერლისა და პოეტის შემოქმედების ირგვლივ სასაუბროდ. ამ ლექციებზე დამსწრე საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებისა თუ თავისი უნარების წარმოჩენის. ეს აქტივობა გარდა ესთეტიური სიამოვნებისა, ხელს უწყობს შემოქმედი ადამიანების გამოვლენას და მისი უნარების დაფასებას.

სკოლისთვის მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკული სწავლება და ინტეგრირება სხვადასხვა საგნებთან. ისტ არ არის გაკვეთილი კომპიუტერთან, არამედ პრაქტიკული მუშაობაა თამაშის შექმნის, პროგრამის მოდიფიცირების ან დაწერის მიზნით. მოსწავლეები თვითონ ქმნიან სასწავლო რესურსს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. მიზნობრივი და საინტერესოა ქართული ენისთვის შექმნილი რესურსი ,, სერიები და მწკრივები“.

სასკოლო საზოგადოების მოტივაციისა და სკოლის მართვაში აქტიური ჩართულობის მიზნით, სკოლა გეგმავს და ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს. ერთ-ერთი გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, სკოლის მოსწავლის მიერ შეიქმნა ,,სკოლის ლოგო“.

არაფორმალური განათლების ფარგლებში სკოლაში ფუნქციონირებს ღირებულებითი განათლების კლუბი. პროგრამის ფარგლებში მოეწყობა ექსკურსიები, შემოქმედებითი ღონისძიებები და შემეცნებითი აქტივობები.

სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულდაგეგმვას. სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოსწავლეები დარეგისტრირდნენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროექტის DOMENICO.GE პლატფორმაზე, რომელიც არაჩვეულებრივი მეგზურია მოსწავლეებისათვის პროფესიული არჩევანის გაკეთებისას. ასევე, საჩხერის ,,ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან“ გაფორმებულია მემორანდუმი. სკოლას ხშირად სტუმრობენ უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების წარმომადგენლები აცნობენ მოსწავლეებს სასწავლებლების პროფესიულ მიმართულებებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 500	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*ხარვეზი*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი **1.2.1.4**	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების	სასურველია, შესრულების ინდიკატორი იყოს გაზომვადი რათა მოხდეს დაგეგმილი აქტივობების შედეგების პროგრესის შეფასება რაოდენორივ და/ან თვისობრივ ჭრილში.

	გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N. **3.3.1.1**	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესუ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლ	სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყოს როგორც ძირითადი, ასევე მმართველობით და დამხმარე პროცესების მონიტორინგის აქტივობები და სამოქმედო გეგმის შედგენამდე მოხდეს სკოლაში მიმდინარე პროცესების რისკების შეფასება.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანო მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
ინდიკატორი 3.7.1.1	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება	სასურველი, სამოქმედო გეგმაში, იქ სადაც დაგეგმილია შესყიდვის აქტივობები, რესურსების ნაწილში სხვა რესურსებთან ერთად მიეთითოს ფინანსური რესურსი.

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სპორტი:** სასურველია, სამივე საფეხურის სპორტის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. **უცხოური ენები:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული გრაფა სრულყოფილად შეივსოს.ორივე უცხო ენაში თითოეული თემის ფარგლებში ხდებოდეს ყველა სამიზნე ცნების დაფარვა. კურიკულუმის გრაფაში "თემა" მითითება მოხდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემებისა და არა მხოლოდ სახელმძღვანელოს თავებისა.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია,მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, მოქალაქეობის და ისტორიის კურიკულუმებში გამოიკვეთოს მიმართება/კავშირი საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის. საბაზო საფეხურზე, ისტორიაში, ყველა კლასის კურიკულუმში აისახოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება და მათ დასამუშავებლად განისაზღვროს საგნობრივი საკითხები. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, სახელმწიფო ენის

		კურიკულუმებში, სასწავლო პროცესის შესახებ სურათი უფრო ნათლად წარმოჩნდეს. აისახოს საგნის შინაარსობრივი ნაწილი სრულად სამიზნე ცნებების შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ესთეტიკის მიმართულება:** სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებშ აისახოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში და რომელიც ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა. მიზანშეწონილია მიეთითოს გრიფირებულ სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, ხოლო მუსიკის კურიკულუმებში - მოსასმენი მასალის შესაბამისი ბმულები. ასევე სასურველია ბმულების პერიოდული გადახედვა და განახლება, რათა ისინი ტექნიკურად გამართული და ხელმისაწვდომი იყოს. **უცხოური ენები:** სასურველია უცხოური ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა) მიმართულების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სასწავლო რესურსებში, სწორად იყოს მითითებული იმ რესურსების ელექტრონული მისამართები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად და გამრავალფეროვნდეს ელეტრონული რესურსები.
ინდიკატორი	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და	**უცხოური ენები:** უმჯობესია, ინგლისურ და რუსულ

2.1.2.4	ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	ენების ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში სრულად აისახოს ყველა დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**უცხოური ენები:** უმჯობესია, უცხო ენების კურიკულიმის ჩარჩოში შემოქმედებით პროდუქტებთან მიმართებით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოიცავდეს ყველა სამიზნე ცნებას. **სახელმწიფო ენის** შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. ასევე სასურველია, რომ პროდუქტის (ესე, პრეზენტაცია, თხზულება...) შინაარსთან დაკავშირებით მეტად იყოს ჩაშლილი კრიტერიუმები, რაც მას მეტად მოქნილსა და ნათელს გახდიდა.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ესთეტიკის მიმართულება:** სასურველია, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეულ ქულას ახლდეს შესაბამისი აღწერა (რა შემთხვევაში იწერება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს. სასურველია, სამივე საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფორმულირებული იყოს მარტივი და მკაფიო ენით, ხოლო კრიტერიუმები ზუსტად და ნათლად იყოს განსაზღვრული. ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უკეთ გაგებას როგორც

		მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მხრიდან და უზრუნველყოფს შეფასების სისტემის უფრო მაღალ ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას. მიზანშეწონილია, რომ VIII კლასის შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემაში ქულების განაწილება იყოს უფრო დაბალანსებული. მაგალითად, მუსიკალური ფრაგმენტის იდენტიფიცირებისთვის მინიჭებული 2 ქულა შესაძლოა არაპროპორციულად დიდი წილი იყოს, რადგან ერთ შეცდომას მოსწავლის საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. მიზანშეწონილია ქულების გადანაწილების გადახედვა ისე, რომ შეფასება უფრო ობიექტურად ასახავდეს მოსწავლის ცოდნასა და უნარებს და უზრუნველყოფდეს შეფასების სისტემის სამართლიანობასა და სანდოობას. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, სახელმწიფო ენაში უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**სპორტი:** სასურველია, სკოლამ დამატებით შეისყიდოს ტანვარჯიშის სპორტული ინვენტარი (მაგ., ტანვარჯიშის ლეიბები, ტანვარჯიშის კედელი, ბაგირი), რომ გაკვეთილზე შესაძლებელი გახდეს მრავალფეროვანი ვარჯიშების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვას.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**ესთეტიკის მიმართულება:** სასურველია,VI კლასის მუსიკის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მოცემულ ადაპტირებული დავალება უშუალოდ სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში იყოს დაგეგმილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლის ჩართულობა საერთო სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკის მიმართულება:** II კლასის შეფასების რუბრიკაში მითითებული სამიზნე ცნება „სხვადასხვა კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები“ მუშავდება V-VI კლასებში, სასურველია გასწორდეს ტექნიკურიშეცდომა.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**დაწყებითის ექსპერტი** **სასურველია:** ბუნებისმეტყველების მე-2 კლასის კურიკულუმის მსგავსად, ყველა საგნისა და კლასის კურიკულუმში დაწყებით საფეხურზე გაიწეროს საათობრივი დატვირთვა სავალდებულო თემების მიხედვით. პირველი კლასის ქართული ენის კურიკულუმში წინასაანბანო პერიოდში დამუშავდეს ცნება - ,,წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა“.გადაიხედოს პირველი კლასის მათემატიკის კურიკულუმი. ზოგიერთ თემასთან არაა განსაზღვრულ სამივე სამიზნე ცნება.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	**დწყებითს ექსპერტი** **სასურველია,** მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში,

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	კერძოდ მე-3 კლასის ქართული ენის კურიკულუმში გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**დაწყებითის ექსპერტი** **სასურველია**, გაამდიდრონ დაწყებითი კლასის კურიკულუმები მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსებით. მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებზე განთავსებულ ელ. რესურსებზე.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ესთეტიკის მიმართულება:** სასურველია, X კლასის მუსიკის კურიკულუმ პირველ თემაში „კონტექსტ-მაგალითი გრაფაში საკითხის ნაცვლად მიეთითო შესაბამისი კონტექსტ-მაგალითი. კონტექს მაგალითის მითითება მიზანშეწონილია მეო თემაში. VII კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები საჭიროებს გარკვეულ სტილისტურ და შინაარსობრივ დაზუსტებას. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი უფრო დავალები ან აქტივობის ფორმას იღებს. სასურველია, კონტექსტ-მაგალითი წარმოაჩენდეს შესაბამის ცნების გამოყენებას და იყოს მითითებული იმ ფორმით, როგორც ეს წარმოდგენილია VIII–IX

		კლასების კურიკულუმებში.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** საგნობრივი სტანდარტით გაწერილი თემის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებები. შესაბამისად, ბიოლოგიის მე-7კლასის კურიკულუმში თემის - სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში სასურველია მიეთითოს ყველა სამიზნე ცნება (მითითებულია მხოლოდ ერთი). **ესთეტიკის მიმართულება:** სასურველია, X კლასის მუსიკის კურიკულუმში პროექტის იდ უფრო მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული, რადგ წარმოდგენილი ფორმულირება უფრო საკითხ აღწერის ხასიათს ატარებს, ვიდრე პროექტის იდეას. მნიშვნელოვანია, პროექტის იდეა წარმოაჩენდეს პროექტის ძირითად ჩანაფიქრს, მოსწავლის საქმიანობასა და მოსალოდნელ საბოლოო პროდუქტს, რაც ხელს შეუწყობს დავალების მიზნის უკეთ გააზრებას და სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას. ასევე მიეთითოს ის ქცენებები, რომლებიც მუშავდება პროექტის ფარგლებში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მიეთითოს მხოლოდ ის ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ მუშავდებს თემის ფარგლებში.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** ფიზიკის მე-8 და მე -9 კლასის კურიკულუმში მოცემულია ერთიდაიგივე დავალება(დავალების პირობა და შეფასების

		კრიტერიუმები იდენტურია). საურველია მოხდეს დავალების მოდიფიცირება სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**მატემატიკა:** სასურველია, გადაიხედოს მე-12 კლასის მათემატიკის კურიკულუმი და მასში, მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები იქნას ინტეგრირებული. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ მე-12 კლასი წარმოადგენს საშუალო საფეხურის დასკვნით ეტაპს, სადაც პრიორიტეტულია ცოდნის ტრანსფერი და ფუნქციური უნარების სრულყოფა.

ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**მათემატიკა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას (მაგალითად მე-11 კლასი. თემა: "ტრ ფუნქციები" განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა არის ზოგადი ხასიათის) სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. სასურველია, შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**მატემატიკა:** სასურველია, დამხმარე რესურსების გამოყენება მე-12 კლასის მათემატიკის კურიკულუმშიც გააქტიურდეს (მაგალითად, Desmos-ის გრაფიკული კალკულატორი ან აკადემიური პორტალები), რათა მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნის განზოგადება, პრაქტიკული მათემატიკური წიგნიერების ამაღლება და უკეთ მომზადება საშუალო საფეხურის დასკვნითი ეტაპისთვის.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.5 და 2.2.1.3	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულები თანაბრად გადანაწილდეს იმ სამიზნე ცნებებზე, მათთან მიმართებით მისაღწევ შედეგებზე,

		რომლებიც კონკრეტული საკითხების ფარგლებში მუშავდება. ბუნდოვანია, რიგ შემთხვევებში რა პრინციპით ნაწილდება არათანაბარი ოდენობის ქულები ერთი საგნის ფარგლებში სხვადასხვა შედეგთან მიმართებით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სსიპ ქალაქ ჭიათურის N7 საჯარო სკოლის მიერ, MES 6260000337271; 20/03/2026 წერილით, წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. დაწესებულება ეთანხმება დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებსა და ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებს, რომლებსაც გაითვალისწინებს მომავალ საქმიანობაში

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ ქალაქ ჭიათურის N7 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომლებიც შეესაბამება ზოგადი განათლების მიზნებს. კერძოდ, წარმოდგენილი მისიით და ხედვით სკოლა განაცხადს აკეთებს უსაფრთხო, ინკლუზიური და ცოდნაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში აღზარდოს შემწყნარებელი, ეროვნული იდეალების ერთგული პიროვნება, დაეხმაროს მოსწავლეებს პროფესიულ ორიენტაციაში, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე ციფრული სამყაროს მოთხოვნებს. იქნება

კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი და ინიციატივიანი მოქალაქე. ყოველივე ამის მიღწევას სკოლა გეგმავს მშობელთა ჩართულობით და მიზნად ისახავს 5-15 წლის პერიოდში სკოლა იქცეს თემისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო კერად.

სკოლის მისია ჟღერს შემდეგნაირად: აღზარდოს შემწყნარებელი, ეროვნული იდეალების ერთგული პიროვნება. ხელი შეუწყოს მოსწავლეს პროფესიულ ორიენტაციაში, დაეხმაროს დააკმაყოფილოს თანამედროვე ციფრული სამყაროს მოთხოვნები, აღმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები და ჩამოყალიბდეს კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედ, მოტივირებულ და მიზანდასახულ პიროვნებად. შექმნას უსაფრთხო, ინკლუზიური და ცოდნაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო მშობელთა ჩართულობით, რომ თითოეული მოსწავლე აქციოს პასუხისმგებლობიან, ინიციატივის მქონე მოქალაქედ. იქცეს თემისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო კერად.

სკოლის ხედვაა: მომავალში (5-15 წლის პერსპექტივაში) ჩვენს სკოლას ვხედავთ, როგორც სამართლიან, უსაფრთხო, ინკლუზიურ,პროფესიულ განათლებაზე ორიენტირებულ და თემისთვის მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეს, სადაც თითოეული მოსწავლე აღიარებულია უნიკალურ პიროვნებად და იზრდება როგორც სანდო, ლიდერული თვისებების მქონე ღირსეული მოქალაქე.

სკოლის მისია და ხედვა არ მტიცდება. იგი დეკლარირებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით და სასკოლო სასწავლო გეგმით.

1.1.1.1ინდიკატორი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

მისიით და ხედვით გაცხადებული მიზნების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო, ინკლუზიურ და პროფესიულ განათლებაზე ორიენტირებულ გარემოში, სადაც თითოეული მოსწავლე აღიარებულია უნიკალურ პიროვნებად და იზრდება როგორც სანდო, ლიდერული თვისებების მქონე ღირსეული მოქალაქე.

სკოლის ფილოსოფიით გაცხადებული მიზნების მისაღწევად, სკოლაში არსებობს ფიზიკურად უსაფრთხო გარემო, ორგანიზაციული სტრუქტურა და შიდა სასკოლო დოკუმენტაცია. სკოლის ერთწლიან და სტრატეგიულ გეგმებში გაწერილი სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და აქტივობები მიმართულია სკოლის გაცხადებული მიზნების განხორციელებისკენ. სასკოლო კურიკულუმით, სადამრიგებლო პროგრამით, კლასის საათით და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები ემსახურება მოზარდის პიროვნულ განვითარებას. სასკოლო სივრცეში გამოფენილი მოსწავლეების მიერ შესრულებული პროექტები უზურნველყოფს კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, მოტივირებულ და მიზანდასახულ პიროვნების აღზრდას. ინკლუზიური გარემო უზრუნველყოფს ყველა შესაძლებლობის მოსწავლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის ფილოსოფიით დეკლარირებული ერთ-ერთი მიზანია, სკოლა თემისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცედ ჩამოყალიბდეს. სასკოლო ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილების მიღებაში მოსწავლეთა მონაწილეობა,როგორიცაა სკოლის ლოგოს შექმნა, სასკოლო გაზეთის გამოშვება, სკოლის ფილოსოფიის შემუშავება, მოსწავლეს უჩენს სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას და ეხმარება მას პიროვნულ განვითარებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე

შეიძლება ითქვას, რომ შემუშავებული ფილოსოფიით სკოლას განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებაში.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განსაზღვრულია მისია, ხედვა ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით. კერძოდ, დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-4 თავი ეხება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის და განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების და თემის ჩართულობით პროცესის განხორციელებას. მეთოდოლოგიური დოკუმენტი ასევე აღწერს ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართვის ფორმას, განხორციელების ეტაპებს და ვადებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის შემუშავების პროცესის ამსახველი მტკიცებულებები: სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის N 2-116 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ასევე წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები(N1; N 2, N 3).

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ინტერვიუს დროს დეტალურად აღწერეს სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესი. კერძოდ, ჯგუფის თითოეულმა წევრმა სხდომაზე წარადგინა თავისი წინადადებები, მოხდა საჯარო განხილვა და შეჯერება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-6 თავი ითვალისწინებს გაზიარების მექანიზმებს, ხოლო გაზიარების პროცესი აღწერილია მეთოდოლოგიის მე-9 თავში. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ საბოლოო სახით ფორმირებული სკოლის ფილოსოფია გაზიარდება სასკოლო საზოგადოებასთან და თემთან. შემუშავებული განაცხადები წარედგენება დირექტორს და მასთან შეთანხმების საფუძველზე გამოქვეყნება ვებგვერდზე შესაძლებელია დირექტორმა სამუშაო ჯგუფს უკან დაუბრუნოს ფილოსოფიის განაცხადი და გარკვეული დრო (10 სამუშაო დღე) განუსაზღვროს უკუკავშირის გასათვალსიწინებლად. პროცესის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (N2 და N3), კითხვარი, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ და გამოკითხვის შედეგები, პედსაბჭოსა და მშობელთა კრების ოქმები. მეთოდოლოგიის შესაბამისად საბოლოო პროექტის სახით ფორმირებული სკოლის ფილოსოფია გაზიარდა სკოლის დირექტორთან. მსჯელობის და შეჯერების შედეგად საბოლოო სახით მიღებული სკოლის ფილოსოფია გახდა სასკოლო სასწავლო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის ნაწილი. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ საბოლოო სახით მიღებული სკოლის ფილოსოფია მათთვის ცნობილია და იციან სად არის განთავსებული. მშობლებმა აღნიშნეს, რომ მესინჯერ ჯგუფებში და მშობელთა კრებაზე მათ გააცნეს საბოლოო სახით მიღებული სკოლის ფილოსოფია. ხოლო მოსწავლეებმა კლასის საათზე და თვითმართველობის შეხვედრებზე მიიღეს ინფორმაცია საბოლოო სახით ჩამოყალიბებული სკოლის ფილოსოფიის შესახებ.

1.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ფილოსოფია განთავსებულია სკოლის ვებგვერზე, სკოლის სოციალურ ქსელში და სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.

1.1.1.5. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, ცვლილება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება N47/ნ 28 ივლისი 2025 წ სკოლის სახელწოდება, სსიპ -ქალაქ ჭიათურის N 7 საჯარო სკოლა, სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

1.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- სსიპ-ჭიათურის N 7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის N 2-116 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- სამუშაო ჯგუფის ოქმები (N 1, N 2, N 3)
- სსიპ-ჭიათურის N 7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის N 2-115 ბრძანებით დამტკიცებული- მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სკოლის ვებ- გვერდი:სსიპ-ჭიათურის N7საჯარო სკოლა
- ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/share/p/17YksUDNZ8/
- კითხვარი და გამოკითხვის სტატისტიკა
- მშობელთა კრების ოქმი N 1; 24/09/2025

- პედსაბჭოს ოქმი N 6; 20/06.20205
- კლასის საათის გეგმა
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- გადასახდელის გადამხდელის მოწმობა

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლამ წარმოადგინა სსიპ-ჭიათურის N 7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის N 2-115 ბრძანებით დამტკიცებული ,,მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგიური დოკუმენტი აღწერს სკოლის სტრატეგიული განვითრებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მათი პრიორიტეტებისა/ინტერესების გათვალისწინებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესები მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის ფორმატით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით. შემდეგ ხდება მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. შემუშავების შემდეგი ეტაპია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. მეთოდოლოგიური დოკუმენტი ადგენს დირექტორის უფლებამოსილებას. კერძოდ, შემუშავებული გეგმები უკან დაუბრუნოს სამუშაო ჯგუფს შემდგომი გადამუშავებისათვის. გადამუშავებული გეგმების წარდგენის ვადა განისაზღვრება 10 სამუშაო დღით. სკოლამ მეთოდოლოგიის შესაბამისად წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედგო გეგმების, სასკოლო საზოგადოების

პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით შემუშავების მტკიცებულებები, კერძოდ, შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ სკოლის ფილოსოფიაზე დაყრდნობით სკოლამ განსაზღვრა 7 სტრატეგიული მიმართულება, რაც ასევე აისახა სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. განხილვისა და შეჯერების შემდეგ ჩამოყალიბდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტები, რომლების დასამტკიცებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოს.

1.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლას შემუშავებული აქვს 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითრების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი N2). სტრატეგიული გეგმა მუშავდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც უზრუნველყოფს მის ციკლურობას. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს: სკოლის მოკლე ისტორიას, სკოლის ფილოსოფიას, გარემოს სიტუაციური **SWOT** ანალიზს და 7 სტრატეგიულ მიზანს, რომლებიც მიმართულია სკოლის ორგანიზაციული განვითარებასა და დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებაზე, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე, უსაფრთხო, ინკლუზიური, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფაზე, სასკოლო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების მუდმივი შენარჩუნება /განვითარებაზე, ადამიანური რესურსის განვითარებაზე, პროფესიული განათლების განვითარებაზე და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებაზე.

სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, რამდენადაც სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ინკლუზიური, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს შექმნას, სადაც სასწავლო პროცესი მოსწავლეზე იქნება ორიენტირებული და ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ეროვნულ - პატრიოტული ღირებულებების დამკვიდრებას. ასევე, პროფესიულ ორიენტაციაში ხელშეწყობის მიზნით, სკოლა ამოცანად ისახავს კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაძლიერებასა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას შიდასასკოლო ღონისძიებების ფარგლებში.

1.2.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი N2) დამტკიცებული 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან და თვითშეფასებიდან . წარმოდგენილია

SWOT ანალიზი. სკოლის სამოქმედო გეგმაში, გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული 7 სტრატეგიული მიზანი და შესაბამისი ამოცანები.

1.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით დამტკიცებული 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, აქტივობების შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს.

რჩევა: სასურველია, შესრულების ინდიკატორი იყოს გაზომვადი, რათა მოხდეს დაგეგმილი აქტივობების შედეგების პროგრესის შეფასება რაოდენორივ და/ან თვისობრივ ჭრილში.

1.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ქალაქ ჭიათურის N 7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის N 2-115 ბრძანებით დამტკიცებული-მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით დამტკიცებული 2025-2032 წ სტრატეგიული გეგმა
- სსიპ ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით დამტკიცებული 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- სსიპ-ჭიათურის N 7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის N 2-116 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- სამუშაო ჯგუფის ოქმები (N 1, N 2, N 3)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მე-12 თავით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების მონიტორინგის და შეფასების საკითხები. კერძოდ, განსაზღვრულია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის და შეფასების განხორციელების პერიოდულობა, პროცესის განმახორციელებელი ორგანო და მონაცემთა შეგროვების მეთოდი. სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წელიწადში ერთჯერ-ივნისში. ხოლო სტარტეგიული გეგმის მოქმედების პერიოდის შუაში და ბოლოს. მონიტორინგის და შეფასების პროცესს ახორციელებს სამუშაო ჯგუფი. მონაცემთა შეგროვებისას გამოიყენება ანგარიშების წარდგენის მეთოდი. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პროცესის შემდეგ განხორციელდება შეფასება. შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დაამუშავებს და ამზადებს შესრულების ანგარიშს. შესრულების ანგარიშის წარდგენა და დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე.

1.2.2.1 **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. კერძოდ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამუშო ჯგუფი. მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად გადის სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შეხვედრას აოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ასევე ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. სამუშაო ჯგუფი ამზადებს შუალედურ ანგარიშს და წარადგენს დირექტორთან, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასების პროცესის დრო სკოლისთვის ჯერ არ დამდგარა. თუმცა შემუშავებული მეთოდოლოგიით, სადაც გაწერილია სტრატეგიული/სამოქმეო გეგმების მონიტორინგის და შეფასების განხორციელების მექანიზმები სკოლა აცხადებს მზაობას პროცესები განხორციელდება მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გასაჯაროვების მექანიზმებს.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების პროცესი არ განხორციელებულა, შესაბამისად მონიტორინგის და შეფასების შედეგებიც ვერ იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი, თუმცა სკოლას აქვს მზაობა მეთოდოლოგიის შესაბამისად გაასაჯაროოს შესრულების შედეგები ვებგვერდზე გამოქვეყნებით. ასევე ვებგვერდზე არსებობს ველი სადაც განთავსდება სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების ანგარიშები.

1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სკოლა შეადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა იღებს ვალდებულებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის.

1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ქალაქ ჭიათურის N 7 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის N 2-115 ბრძანებით დამტკიცებული-მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სკოლის ვებ- გვერდი:სსიპ-ჭიათურის N7საჯარო სკოლა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებამ საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა წარმოადგინა გრაფიკული სახით. შემუშავებულია თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, და საშტატო განრიგი. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სკოლის დირექციას, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, 7 საგნობრივ კათედრას,მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინური კომიტეტის, მშობელთა გაერთიანებას, ფსიქოლოგიურ სამსახურს, სკოლის ადმინისტრაციას, შტატგარეშე დასაქმებულ პირთა ჩამონათვალს და მანდატურის სამსახურს. სკოლის საშტატო განრიგი ადგენს საგანმანათლებო პროცესისთვის საჭირო პოზიციაზე დასაქმებულ პირთა რაოდენობას. საშტატო განრიგით სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი და 35 მასწავლებლი, ხოლო შტატგარეშედ დასაქმებულია: სკოლის ექიმი, დამლაგებელი-3 და დარაჯი-2. სკოლის სტრექტურული ერთეულების და პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია სკოლის დირექტორის ბრ. N2-171-ით დამტკიცებული ,,სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებში“ და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა,

განსაზღვრულია, ვინ ვის ექვემდებარება და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. დაკისრებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რამდენად ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, შეიძლება დადგინდეს დასაქმებულ პირებთა შესრულებული სამუშაოს სისტემატური შეფასებით. ამ მიზნით სკოლა შემუშავებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა", სადაც იდენტიფიცირებულ პროცესებს შორის არის ,,ადამიანური რესურსების მართვა".

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია, პერსონალის მართვის პოლიტიკის როლი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. სკოლაში თანამშრომელთა შეფასების სისტემის არსებობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხარისხის ამაღლებას.

სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაწერილი კონკრეტული მიზნების, ამოცანების და აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები. მათზე დაკისრებული ფუნქციები დაკავებული პოზიციების შესაბამისია. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს ხელშეკრულების გაცნობის ფაქტს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის სტრუქტურა, საშტატო განრიგი, მკაფიოდ გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები, ხარისხის უზრუნველყოფისა და პერსონალის მართვის პოლიტიკა, სკოლის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები და დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის გრაფიკული სტრუქტურა-ორგანოგრამა
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირეტორის ბრ N2-171-ით დამტკიცებული - სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-178-ით დამტკიცებული- ხარისხის მართვის პოლიტიკა
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-176-ით დამტკიცებული- პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
- თანამშრომელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება
- დამრიგებლის დებულება

- კათედრის დებულება
- ბიბლიოთეკის დებულება
- მშობელთა გაერთიანების დებულება
- სსიპ ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით დამტკიცებული 2025-2032 წ სტრატეგიული გეგმა
- სსიპ ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით დამტკიცებული 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც აღწერს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, სტრატეგიას, ამოცანებს, პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნის წესებს, ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის საკითხებს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარებისა და წახალისების წესებს. დოკუმენტის ზოგადი დებულებების ნაწილით განსაზღვრულია საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი, რომლეთა გათვალიწინებით სკოლა ახორციელებს პერსონალის მართვას.

სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომით ხელშეკრულებები, რომელებიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის გათვალსიწინებით. პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი მოთხოვნების გათვალიწინებით. სკოლაში დასაქმებულია სქემით განსაზღვრული სტატუსის მასწავლებლები. პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილის, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ სკოლას დადგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესები და პირობები. პროცესები ხორციელდება მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. კერძოდ, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია გააანალიზებს თუ რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრი მომდევნო სასწავლო წლიდან და საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ გამოაცხადებს კონკურსს იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად. მტკიცებულებად წარმოდგენილია ვაკანსიის მასალები (საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიის შექმნის ბრძანებები, ღია კონკურსის გამოცხადების და ჩატარების ვადები, კომისიის სხდომის ოქმები).

სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის ხშირად საჭირო ხდება მყისიერი, ინტერვენციული ზომების მიღება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სადაც გაწერილია სამსახურში არ გამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას. მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლით და საჭიროების შემთხვევაში დაასაქმოს შემცვლელი მასწავლებლი შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

პერსონალის მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სკოლის მაღალკვაკიფიციური კადრების მოზიდვისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა. სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსით, ხოლო სხვა პერსონალის დირექტორის ბრძანებით. მასწავლებლის დასაქმების დროს გათვალისწინებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნები. წარმოდგენილია მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დოკუმენტაცია, სადაც ჩანს, რომ ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭირვალეობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები, პირობები, კონკრეტული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შექმნილია საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიები, წარმოდგენილია კომისიის სხდომის ოქმები, განაცხადი გამოქვეყნებულია საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. დასაქმებულის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ ყველა დასაქმებულს წარმოდგენილი აქვს კანონმდებლობით გათვალიწინებული ცნობები: ,,ნასამართლეობის“, ,,უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.

ადამიანური რესურსების მართვის წესით, საკონკურსო მასალებით და კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობებით დგინდება, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებულია 46 თანამშრომელი, აქედან 35 მასწავლებელია: უფროსი-29; წამყვანი-6. მასწავლებლები შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლაში დასაქმებული კვალიფიციური ექიმი, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერთიფიკატს პედიატრიაში და საოჯახო მედიცინაში. ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის სკოლას დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართული იყო კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდებოდა გამოცდილების გაზიარება, ერთად იგეგმება სასკოლო პროექტები. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს სკოლის სივრცეში გამოფენილი განხორციელებული პროექტები და წარმოდგენილი ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები. დირექტორმა აღნიშნა, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში. სკოლაში კეთილმოწყობილი საზიარო სივრცეების არსებობა (სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი) ხელს უწყობს თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. კერძოდ, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის საკადრო პოლიტიკა, რომელიც დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელებას ეყრდნობა. თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია წახალისების სისტემა. კერძოდ, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს

შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ინფორმაცია სკოლის წარმატებების, თანამშრომლების წარმატების, მათი მიღწევებისა და გამორჩეული აქტივობების შესახებ გამოქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში, ვებ-გვერდზე, ასევე განიხილება სკოლის თანამშრომელთა შეხვედრებზე. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას ძალიან დაეხმარათ ერთმანეთის წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-176-ით დამტკიცებული- პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირეტორის ბრ N2-171-ით დამტკიცებული - სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სკოლის შინაგანაწესი
- თანამშრომელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება
- უფროს და წამყვან მასწავლებლთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულებები
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N1/კ-32-შემცვლელი მასწავლებილის დანიშვნის შესახებ
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N1/კ-33-საათების გადანაწილების შესახებ
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-144-ღია კონკურსის გამოცხადების და საკონკურსო ვადების განსაზღვრის შესახებ
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-151-საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-152-საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N2
- პერსონალის პირადი საქმეები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს. კერძოდ, დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით იგეგმება წახალისების სისტემის აქტიური გამოყენება. ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობისა და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას. საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ადამიანური რესურსების სტაბილურობისთვის შესაბამისი რეკომენდაციები. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა დაგეგმავს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. მაგალითად, პროფესიული განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგების, საკონსულტაციო შეხვედრებს, სემინარებს. სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკის განხორციელებას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი, განსაზღვრულია მისი ფუნქციები პერსონალის მართვის საკითხებში. მასწავლებლების შეფასების და პროფესიული განვითარებაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პერსონალის საჭიროებათა კვლევისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პესონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებული.

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია თანამშრომელთა შეფასებისა და პერსონალის განვითარების მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ

საჭიროებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმიდან ჩანს, რომ სკოლის ორგანიზაციული განვითარება პირდაპირ კავშირშია სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან. ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების განვითარების აქტივობები. კერძოდ, ტრეინიგებისა და სემინარების გავლა გათვალიწინებულია როგორც მასწავლებლებისთვის ასევე, ბიბლიოთეკარისთვის, ბუღალტერისთვის და საქმისმწარმოებლისთვის სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა, რომელიც მოიცავს მასწავლებლისთვის გაზიარებულ უკუკავშირისა და რეკომენდაციების პუნქტებს, რაც მასწავლებლი დაეხმარება გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაში და პროფესიულ ზრდაში. პედაგოგთა პირადი საქმეებში განთავსებულია მათ პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერთიფიკატები. სკოლის ადმინისტრაციულიმა პერსონალმა, დირექტორმა და ბუღალტერმა ხაზინის მომსახურების შესახებ გაიარეს სამდღიანი ტრენინგი.

პესონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით, სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით, სკოლა აცხადებს მზაობას პერსონალის განვითარება განახორციელოს გამოვლენილი საჭიროებების და წინასწარ განსაზღვრული აქტივობების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებული.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

პესონალის მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია კონკრეტული თანამშრომლის სურვილზე. სურვილის შემთხვევაში სკოლა აცხადებს მზადყოფნას დაეხმაროს თანამშრომელს კარიერულ ზრდაში. რაც შეეხება მასწავლებლის კარიერულ წინსვლას, რეგულირდება ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“. აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტი, რომლის საფუძველზეც სკოლამ შეიმუშავა პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. კანონდებლობის ნორმების დაცვით პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს შემდეგი ადმინისტაციული პერსონალის: ბიბლიოთეკარი, დირექტორის მოადგილე და დირექტორი. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

პესონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებს. კერძოდ, განსაზღვრულია ადაპტაციის ეტაპები, პროცედურები და ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირები. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლა ეხამრება ახალ თანამშრომელს სწრაფ ადაპტაციაში. კერძოდ, აცნობს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. ხდება თანამშრომლების გაცნობა, სასკოლო ინფრასტრუქტურის დათვალიერება, სკოლის ფილოსოფიის, შინაგანაწესის და მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა. დამატება სკოლის სოციალურ ქსელში და სხვა საკომუნიკაციო არხებში.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

პერსონალი მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით, დასაქმებულის მოტივაციის ხარისხს განაპირობებს სკოლაში დამკვიდრებული გარემოს თავისებურებები, სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტური მართვის მექანიზმები, რომლითაც დასაქმებული მიიღებს პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობებს. თანამშრომელთა საჭიროებების განსაზღვრის საფუძველზე მოხდება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. წაახალისებს პერსონალის ინიციატივებს, რომელიც შესაძლოა გამოიკვეთოს საჭიროების კვლევის შედეგად.

სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით, სკოლა აცხადებს მზაობას წაახალისოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-176-ით დამტკიცებული- პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
- სსიპ ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით დამტკიცებული 2025-2032 წ სტრატეგიული გეგმა
- სსიპ ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით დამტკიცებული 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. აღნიშნული პროცესები განხილულია სკოლის-ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს-დირექტორის მოადგილეს, ახდენს სკოლაში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის წესს. იდენტიფიცირებული პროცესიების განხორციელება რეგულირდება შესაბამისი მეთოდოლოგიური დოკუმენტებით, დებულებებით და წესებით, სადაც აღწერილია პროცესების და ქვეპროცესების განხორციელების ეტაპების მონაცვლეობა, რაც დამადასტურებელია იმისა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე პრინციპის დაცვით. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირის სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროცესის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობების შეფასებას.

რჩევა: სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყოს როგორც ძირითადი, ასევე მმართველობით და დამხმარე პროცესების მონიორინგის აქტივობები და სამოქმედო გეგმის შედგენამდე მოხდეს სკოლაში მიმდინარე პროცესების რისკების შეფასება.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, ხოლო პროცესები აღწერილია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებში. კერძოდ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის შინაგანაწესი და

სასკოლო სასწავლო გეგმა აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით-ძირითადი პროცესები. ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების წესით, საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესით და სხვა დოკუმენტებით.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში არსებობს თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. კერძოდ, დირექტორის ბრ. N2-180 დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ჭიათურის N7 საჯარო სკოლის გასაჩივრების პროცედურები, რომელიც მოიცავს: საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპებს, განცხადების/საჩივრის წარდგენის წესს და ვადებს. საჩივრის განხილვის წესს დისციპლინური წარმოების დროს, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრების განხოლვის წესი. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი ვის და როგორ შეუძლია შეიტანონ სკოლაში საჩივარი/განცხადება აუცილებელი რეკვიზიტების მითითებით. სკოლაში გამოცემული ბრძანებების, დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა. წარმოდგენილი განცხადებებით დგინდება, რომ სკოლაში განცხადებების წარდგენა და განხილვა სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიმდინარეობს, რაც შეეხება საჩივრებს წერილობითი ფორმით საჩივრები არ ფიქსირდება.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, პერსონალითან და მშობლთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. შინაგანაწესი არეგულირებს სკოლის თანამშრომლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების წესს, მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საქმისწარმოებას და სხვა კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს. ასევე გაწერილია წახალისების ფორმები. დაწესებულებაში მოქმედებს საჩივრების განხილვის სისტემა. სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლებისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობას, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებში. მშობლებს აქვთ უფლება აქტიურად იყვნენ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად იზრუნონ სკოლის განვითარებისთვის. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მშობელთა გაერთიანება, რომლის მუშაობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. ინტერვიუს დროს მშობლებმა ისაუბრეს მშობელთა გაერთიანების მუშაობაზე და სამომავლო გეგმებზე. აღნიშნეს, რომ სკოლა ხედავს მათ

საქმიანობას და გამოხატავს მადლობას. მშობლებმა ასევე ისაუბრეს მათ უფლებაზე მეორე უცხოური ენის არჩევის შემთხვევაში. ასევე მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლის ფორმის შერჩევაში.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-178-ით დამტკიცებული- ხარისხის მართვის პოლიტიკა
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-180 დამტკიცებული-გასაჩივრების პროცედურები
- თამანშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-80 დამტკიცებული- მშობელთა გაერთიანების დებულება
- სსიპ ქალაქ ჭიათურის N 7 საჯარო სკოლის მე-10 (ბ) კლასის მშობელთა კრების ოქმი N 1-შინაგანაწესის გაცნობა
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-169 დამტკიცებული- დამრიგებლის დებულება
- მშობელთა გაერთიანების სხდომის ოქმები
- მადლობის სიგელი მშობელთა გაერთიანებას
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მშობელთა კრების ოქმი-მეორე უცხოური ენის არჩევა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. კერძოდ, სკოლის ვებ/გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: სტრუქტურა, შინაგანაწესი, განცხადებების და საჩივრების განხილვის წესი, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები. მითითებულია სკოლის მისამართი, ელ. ფოსტა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, სწავლების ენა და საგანმანათლებლო სტატუსი, პირველკლასელთა ლიმიტი, მათ შორის სსსმ მოსწავლის. ვებგვერდს აქვს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების ანგარიშის გამოქვეყნების ველი. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება სოციალური ქსელი, რომლის საშუალებით გაზიარებულია სკოლაში მიმდინარე სიახლეები. სკოლა საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს მესინჯერ ჯგუფებს, მშობელთა კრებებს, სკოლაში შექმნილია მშობელთა გაერთიანება, რომლის მიზნებია სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის გაზრდა, მათი უკუკავშირის მიღება და გათვალიწინება სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვაში, ასევე დახმარება გაუწიოს სკოლას

დამატებითი ფინანსების მოძიებაში და მისი მიზნობრივ გამოყენების შესრულებაში. სკოლის დერეფანში განთავსებულია მშობლის მიერ შექმნილი დიდი წინადადებების ყუთი. მშობლებთან ინტერვიურებით ირკვევა, რომ მათი სურვილის და მასწავლებლეთა ინიციატივები გათვალიწინებით სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი წრეები, ასევე მათი უკუკავშირის გათვალიწინებით შეირჩა სასკოლო ფორმის ფერი.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის სტრუქტურის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და შესაბამისი სტურქტურული ერთეულების დებულებებით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობა. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მზნით შექმნილი -მშობელთა გაერთიანება, რომლის მუშაობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა-ორგანოგრამა
- სკოლის ვებ- გვერდი:სსიპ-ჭიათურის N7საჯარო სკოლა
- ფეისბუქ გვერდი: **https://www.facebook.com/share/p/17YksUDNZ8/**
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები
- მშობელთა გაერთიანების სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-233-ით დამტკიცებულია ადამიანის და პროცესების უსფრთხოების მექანიზმები, რომელიც არეგულირებს სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების წესებსა და ნორმებს. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემუშავებული, დამტკიცებული და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, სკოლას აქვს დადებითი დასკვნა. მტკიცებულებად წარმოდგენილია აკრედიტირებული ორგანიზაციის შპს ,,სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს“ მიერ მომზადებული დასკვნა (აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-O337; მოქმედების ვადა 19/02/2028) ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით წრმოდგენილია სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა-მდგრადობის დასკვნა, რომელიც გაცემულია აკრედიტირებული ორგანიზაციის შპს ,,ექსპერტიზა“-ს მიერ (აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-0233; მოქმედების ვადა 04/07/2028)

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს მანდატურის სამსახური, მრჩეველთა საბჭო, დასაქმებულია ორი დარაჯი, შემოღობილია სკოლის პერიმეტრი, სკოლის ეზოში არსებული დენის გენერატორი და წყლის რეზერვუარების ადგილი შემოღობულია მავთულის ბადით, გათბობისა და სახანძრო სატუმბი სადგური განთავსებულია ცალკე მდგომ ნაგებობაში, რომელიც დაკეტილია, ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით სკოლის შენობაში სასწავლო სივრცეები გადანაწილებულია ასაკის შესაბამისად. კერძოდ, დაწყებითი საფეხურის (I-IV) სასწავლო პროცესის მიმდინარეობს პირველ სართულზე. ფიზიკური

უსაფრთხოების მიზნით კიბეებს აქვს გლუვზედაპირიანი ხის ზედაპირი. კიბის უჯრედში უსაფრთხოების მიზნით ფანჯარას აქვს მოაჯირი, სპორტულ დარბაზში ფანჯრებზე გათვალიწინებულია დამცავი ბადე და გამათბობლებისთვის დამცავი ფარი.

რჩევა: სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

ინდიკატორი 3.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერთიფიკატს პედიატრიაში და საოჯახო მედიცინაში. სკოლის ექიმი აწარმოდებს კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას. აღნიშნულიდან გამოდინარე სკოლას აქვს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

ინდიკატორი 3.4.1.2 შესაბამისობაშია

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-233-ით დამტკიცებულია ადამიანის და პროცესების უსფრთხოების მექანიზმები, რომელიც არეგულირებს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. განსაზღვრულია, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ პირთა გადაადგილების კონტროლს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული უსაფრთხოების მექანიზმები უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად დასაქმებულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალიტი სპეც. მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სადამრიგებლო საათის პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდებას, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. გამოყოფილია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების გატარებას ძალადობის, დისკრიმინაციის,

კიბერბულინგის შესახებ. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს კლასის საათის ფარგლებში განხილულ საკითხებზე, რომლებიც ეხება ბულინგს, ძალადობას და მავნე ჩვევებს. სასკოლო სივრცეების ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება ბულინგის და კიბერბულინგის თემებზე განხორციელებული პროექტების არსებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოსც შექმნის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებლი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სკოლაში არის სველი წერტილები. სველი წერტილები განთავსებულია შენობის ოთხივე სართულზე ბიჭებისთვის, გოგონებისთვის, პედაგოგებისთვის და შშმ პირისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში, რომელთა მარაგებზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლის ტერიტორიის დასუფთავების მონიტორინგი ხორციელდება კვირის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ, რომელზეც პასუხიმგებელია მატერილურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი. სკოლის ექიმი ზედამხედველობს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას.

ინდიკატორი 3.4.1.5.დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. ამ მიზნით შემუშავებულია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი-,,პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“. დოკუმენტი მოიცავს: მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. შემუშავებლია თანხმობის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ ქსელში მიზნობრივად ფოტო-ვიდეო მასალის ატვირთვას. აღნიშნული თახმობის წერილების ინახება დამრიგებელთან. სკოლა ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომელიც გაწერილია ,,ადამიანის და პროცესების უსფრთხოების დოკუმენტში". სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ყოველთვის არის მეთვალყურე მასწავლებელი. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასების მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშია მანდატურის სამსახურის წარმომადგენელიც. სკოლის მანდატურის სამსახური უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას. მრჩეველთა საბჭოზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც დასტურდება წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს N1 ოქმით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-233-ით დამტკიცებულია ადამიანის და პროცესების უსფრთხოების მექანიზმები
- საგანგებო გეგმის შეთანხმების წერილი -MIA72600269610 ; 27/01/2026
- სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა- შპს ,,სახანძრო ექსპერტიზის ბიურო" (აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-O337; მოქმედების ვადა 19/02/2028)
- სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა-მდგრადობის დასკვნა. შპს ,,ექსპერტიზა"- (აკრედიტაციის მოწმობა GAC-IB-0233; მოქმედების ვადა 04/07/2028)
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის ბრ.N 72253189; 14/11/2025-სკოლის შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღების შესახებ.
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N 2-236- სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- ექიმის პირადი საქმე
- ხელშეკრულება დარაჯთან
- ხელშეკრულება დამლაგებელთან

- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N 2-163 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დაცვაზე უფლებამისილო პირის განსაზღვრის შესახებ.
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N 2-118; 26/10/2016- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ.
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N 2-162; 17/09/2025-რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი №1
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N 2-19; 23/02/2026 დამტკიცებული-პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ- ქალაქ ჭიათურის N7 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ქ.ჭიათურაში, ცხოვრებაძის N11 -ში განთავსებულ ოთხსართულიან შენობაში. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა არსებობის ვადით. სკოლის შენობის საერთო ფართია-2663 კვ.მ. მიწის განაშენიანების ფართია-5000 კვ.მ

სკოლის შენობა ორი ოთხსართულიანი ფლიგელისაგან შემდგარი ერთიანი სივრცეა. შენობა ახლადრეაბილიტირებულია და ინფრასტრუქტურა მორგებულია ყველა შეაძლებლობის პირისთვის. სკოლაში სულ 19 საკლასო ოთახია, გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები (ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის), გეოგრაფიის ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, რესურსოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის ოთახი, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი, კვების ბლოკისთვის განკუთვნილია სივრცე, დარაჯს და დამლაგებელს აქვს თავიანთი ოთახები, სკოლაში არის თვითმართველობის ოთახი, შეხვედრების ოთახი, სპორტული დარბაზი ადაპტირებული საპირფარეშოთი და დუშ-კაბინებით, ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები ბიჭების, გოგნებისთვის, პერსონალისა და შშმ პირისთვის. სკოლას აქვს დიდი ეზო და დიდ, ნათელი დერეფნები.

სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და სასწავლო დაფით. სკოლის ბალანსზეა-550 მოსწავლის ასაკის შესაბამისი მერხი და სკამი. დაფა-21, კომპიუტერული ტექნიკა-79, პროექტორი-2, პრინტერი-4. სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციის სრულფასოვანი მუშაობისათვის სკოლას მოთხოვნილი აქვს აუცილებელია სასკოლო და საოფისე ავეჯი. აღნიშნულის შესახებ სკოლამ წარმოადგინა ჭიათურის რესურსცენტრში გაგზავნილი კორესპოდენცია.

შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ფუნქციონირებს ლიფტი.სახელმწიფოსგან ქონება გადაცემულია არსებობის ვადით, რაც იძლევა გარანტიას სკოლა, ავტორიზაციის პერიოდში, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალურ რესურსით.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების სრულფასოვანი ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. სკოლას აქვთ საერთო სარგებლობის ეზო, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბოლატორია, შეხვედრების ოთახი, ბიბლიოთეკა, თვითმართველობის ოთახი, სამასწავლებლო, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალური, გუნდური და თანამშრომლობით საქმიანობის გარემოს. სამედიცინო კაბინეტი. შემუშავებულია ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით რესურსებით სარგებლობის წესები. კომპიუტერული ლაბორატორიის განრიგი და ჯავშნის წესი.

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით და კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესები ხელმისაწვდომის სასკოლო საზოგადოებისთვის, რამდენადაც გამოკრულია თვალსაჩინოს შესაბამის ადგილზე.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც განსაზღვრავს: ბიბლიოთეკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. სკოლა აწარმოებს წიგნადი ფონდის რეესტრს. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დგინდება, რომ იგი აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. დამრიგებლებს ეხმარება ღონისძიებების განხორციელებაში. სკოლას მოთხოვნილი აქვს საბიბლიოთეკო ავეჯი, კერძოდ წიგნის თაროები. ამ ეტაპზე წიგნების ნაწილი განთავსებული იყო ყუთებში. სკოლას სურვილი აქვს გაამდიდროს წიგნადი ფონდი. ამ მიზნით ახორციელებს პროექტს ,,გვისახსოვრეთ წიგნი, ბედნიერი ვიქნებით“.

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობა ახლად რეაბილიტირებულია. მისი ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებული შშმ პირისთვის, რომელსაც აქვს შესაძლებლობა შეუფერხებლად ისარგებლოს სკოლის ნებისმიერი რესურსით. სკოლის შენობას აქვს უსაფრთხო ლიფტი, რაც დასტურდება შშმ პლატფორმა/ლიფტის ინსპექტირების სერთიფიკატით (№033-25) . შენობის ოთხივე სართულზე არის სრულად ადაპტირებული სველი წერტილები, სადაც ასევე გათვალისწინებულია შშმ პირისთვის ადაპრირებული ხელსაბანიც. სკოლას აქვს საჭირო რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი. აღნიშნულიდან გამომდინარე

ინდიკატორის 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს დიდი ეზო, სპორტდარბაზი, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას ჩატარდეს მრავალფეროვანი სპორტული და გასართობი ღონისძიებები; სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი კარგი საშუალებაა საინტერესო ღონისძიებეისა და პროექტების წარმოსადგენად. სამასწავლებლო, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალური, გუნდური და თანამშრომლობით საქმიანობის გარემოს. შეხვედრების ოთახი, პროექტებზე სამუშაოდ. თვითმართველოს სამუშაო ოთახი, სადაც აქტიურად მიმდინარეს სასკოლო გაზეთის ყოველ ახალ ნომერზე მუშაობა.

სკოლის შენობაში არსებული ნათელი და ფართო დერეფნები საშუალებას იძლევა მრავალფეროვანი აქტივობები განხორციელდეს. ადგილზე ვიზიტის დროს თვალსაჩინო იყო დერეფნებში გამოფენილი პროექტებისა და სკოლის მიღწევების ამსახველი მასალები. ეს არის სპორტული ჯილდოები თუ პროექტის ფარგლებში სკოლისთვის გადაცემული სიგელები და დიპლომები. სკოლის შენობის

სივრცის ვიზუალური დათვალიერებით, ნათლად ჩანს, რომ სკოლა ეკუთვნის სასკოლო საზოგადოებას და იგი წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან N 882025564957 - 22/05/2025
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-170-ით დამტკიცებული-ბიბლიოთეკის დებულება
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-177-ით დამტკიცებული-ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- კომპიუტერული ლაბორატორიის განრიგი და ჯავშნის წესები
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-117 ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის შესახე
- ინვენტარიზაციის სხდომის ოქმი
- საინვენტარიზაციო უწყისი
- კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები
- საოფისე ავეჯის მოთხოვნის წერილები: MES 4 25 0001382008 და MES 0 26 0000127296

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც სრულადაა აღჭურვილი შესაბამისი რესურსებით და შესაძლებელია ერთდროულად მოემსახუროს 30 მოსწავლეს. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, QR კოდის მეშვეობით ნებისმიერ მოსწავლესა თუ მასწავლებელს შეუძლია დაჯავშნოს ლაბორატორია. ყველა საკლასო ოთახში არის ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა. პერსონალური კომპიუტერები აქვთ საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, ბიბლიოთეკარს და ექიმს. ლეპტოპები გადაეცათ კათედრებს (თავმჯდომარეებს) მათ შეუძლიათ ისარგებლონ მოაწესრიგონ დოკუმენტაცია. სკოლას აქვს პროექტორები, რომლითაც მასწავლებლები სარგებლობენ საგაკვეთილო პროცესის დროის, ასევე ღონისძიებების მიმდინარეობისას. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის მეშვეოიბითაც მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს თავისი შვილის აკადემიური მოსწრებისა შესახებ ინფორმაცია. კომპიუტერული ტექნიკის გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლის ბალანსზეა- 79 კომპიუტერული ტექნიკა

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, QR კოდის მეშვეობით ნებისმიერ მოსწავლესა თუ მასწავლებელს შეუძლია დაჯავშნოს ლაბორატორია. ყველა საკლასო ოთახში არის ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა. კათედრის ხელმძღვანელებს გადაცემული აქვს ლეპტოპები. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლეპტოპები, ინტარნეტი, პროექტორები, ქსეროქსების აპარატები, მუდმივად ხალმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის. მათ აქვთ შესაძლებლობა ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები,მოიძიონ საჭირო ინფორმაცია, ამობეჭდონ მათთვის საჭირო მასალა, მოემზადონ გაკვეთილისთვის.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-177-ით დამტკიცებული-ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- კომპიუტერული ლაბორატორიის განრიგი და ჯავშნის წესები
- კათედრებზე გადაცემული კომპიტერების მიღება-ჩაბარების აქტები
- ლეპტობების მიღება-ჩაბარების აქტი
- პრინტერების მიღება-ჩაბარების აქტი
- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-174-ით. საქმისწარმოების წესი ადგენს მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს და სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის, ამ დოკუმენტში დარეგულირებულია დოკუმენტების მომზადების, მიღების, გაგზავნის, შენახვის, დაცვის წესები. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას. აწარმოებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას.უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას.

სკოლას შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული („eflow”) და მატერიალური ფორმით. სკოლა საქმისწარმოების წესის შესაბამისად აწარმოებს: შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო, საკადრო ბრძანებების აღრიცხვის და საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალებს.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას.

სკოლას აქვს eschool.emis.ge-ს ერთიანი ბაზა. ინფორმაციისა და კორესპოდენციის მისაღებად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა: chiatura7@mes.gov.ge. სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში, procurement.gov.ge სადაც

უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვის გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია. პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლა ახორციელებს ბმულზე:registration.emis.ge .

ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახული აქვს სკოლის ძირითადი ინფორმაცია. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და საბანკო რეკვიზიტები. ბაზაში ასახული სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეთა და მათ მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა მონაცემები,საკონტაქტო ინფორმაციები. ხდება მოსწავლეთა მობილობის, ჩარიცხვა ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესები. ასევე შეყვანილია ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებული

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, რაც დასტურდება მტკიცებულებებით. კერძოდ, სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციებს საგანმანათლებლოს საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და თანამშრომლობს მათთან, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი

- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-174-ით. საქმისწარმოების წესი
- ბრძანება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
- ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან

- საქმისწარმოების ჟურნალები
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით . სკოლას აქვს ვებ გვერდი სსიპ-ჭიათურის N7საჯარო სკოლა, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, საკომუნიკაციოდ მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია: სკოლის ელ.ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მისამართი. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ. სოციალური ქსელში სკოლას აქვს თავისი Facebook გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლაში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. საკუთარი სოციალური გვერდი აქვს სკოლის თვითმართველობასაც. გარკვეული სახის ინფორმაციის მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. პირველი სართულის ფოიეში განთავსებულია წინადადებების ყუთი.

სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ვებ/გვერდის მართვაზე პასუხიმგებელი პირი. მშობლებთან ურთიერთობას არეგულირებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მშობელთან ურთიერთობის დებულება(კომუნიკაციის სტრატეგიები). მშობლების განმარტებით, სისტემატიური კომუნიკაცი აქვთ დამრიგებელთან მესინჯერ ჯგუფების საშულებით და დამრიგებელი წარმოედგენს სკოლასა და მშოელს შორის მნიშვნელოვან საკომუნიკაციო ხიდს.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას - სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც სასკოლო საზოგადოების სუბიექტების მონაწილეობით და ჩართულობით არის მომზადებული, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოსა გადაწყვეტილებებითა და დირექტორის ბრძანებით. ფეისბუქ გვერდზე სკოლა ათავსებს სანდო და უტყუარ ინფორმაციებსა და ფოტომასალებს სკოლაში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ მშობლებიდან მიღებული შესაბამისი ნებართვების საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ვებ/გვერდის მართვაზე პასუხიმგებელი პირი.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის მიზნით სკოლა იყენებს გამოკითხვის მეთოდს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ სკოლა ითავლიწინებს მათ აზრს. კერძოდ, მშობელთა სურვილი იყო სკოლაში საგნობრივი წრეების არსებობა, რაც სკოლამ გაითვალიწინა. ასევე მნიშვნელოვანი იყო მშობლების და მოსწავლეების უკუკავშირი სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბებაში, სასკოლო ფორმის ფერის შერჩევაში, არაფორმალური განათლების ფარგლებში მრავალფეროვანი კონკურსების, ვიქტორინების, ექსკურსიების და ღონისძიებების განხორციელებაში. სკოლის დირექტორის განმარტებით, წინადადებების ყუთი სკოლას დაეხმარება სასკოლო საზოგადოებიდან მიიღოს მეტი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანია სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი სსიპ-ჭიათურის N7საჯარო სკოლა, რომელზეც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge შესაბამისი გვერდი სსიპ-ჭიათურის N7საჯარო სკოლა, სადაც გასაჯაროებულია სასკოლო დოკუმენტაცია(ხედვა, მისია,

ღირებულებები, შინაგანაწესი, სტუქტურა, სტრატეგიული, სამოქმედო დასასწავლო გეგმები, ხარისხის და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტები და სხვ.) და ძირითადი ინფორმაცია სკოლის შესახებ(მისამართი, საკონტაქტო მონაცემები, მოსწავლეთა და პედაგოგთა რაოდენობა, პირველკლასელთა ლიმიტი, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სკოლაში გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.5.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ/გვერდი: სსიპ-ჭიათურის N7საჯარო სკოლა
- ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/ch.iaturis.meshvide.sajaro.sk.ola
- თვითმართველოს ფეისბუქგვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=61584475286450
- კითხვარები
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-79-ით დამტკიცებული -მშობელთან ურთიერთობის დებულება
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-229-ით დამტკიცებული ვებ/გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე N4 ოქმით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიში, შეყიდვის წლირი გეგმა, 2025 წლის ხარჯები) დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსების, კომპიუტერული ტექნიკის, სპორტული ინვენტარის, სამედიცინო ინვენტარის შეძენისა ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალსიწინებული გარკვეული აქტივობების განხორციელებას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ერთ-ერთი ამოცანაა ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა. განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობებიც: დამატებითი ეკონომიკური შემოსავლების მოძიება და ფინანსური რესურსების მართვის გაუმჯობესება. სკოლას აქვს ახალი რეაბილიტირებული შენობა, სადაც არსებობს ფართები ეკონომიკური შემოსავლების გასაძლიერებლად და სკოლის ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

რჩევა: სასურველი, სამოქმედო გეგმაში, იქ სადაც დაგეგმილია შესყიდვის აქტივობები, რესურსების ნაწილში სხვა რესურსებთან ერთად მიეთითოს ფინანსური რესურსი.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

საჯარო სკოლის წესდება განსაზღვრავს სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემასსკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით. სკოლა ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება. სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, სახელწიფო კონტროლი გულისხმობს სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო

საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს N 4 ოქმი-ბიუჯეტის დამტკიცება
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 დეკემბრისფინანსური ანგარიში
- 2025 წლის ხარჯების დოკუმენტი
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-197-ით დამტკიცებული -სსიპ ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის 2026 წლის სახელმწიფო სესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები სკოლაში დარეგულირებულია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისად შექმნილი შიდა სასკოლო დოკუმენტებით: სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის უფლებები, ინტერესები, წახალისების საშუალებები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. კლასის დამრიგებლები ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობს შინაგანაწესს. სკოლაში ფუნქციონირებს წარმომადგენლობითი ორგანო მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას შემუშავებული აქვს თვითმმართველობის დებულება, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მისი ფუნქციები. სკოლის სამეურვეო საბჭოში არჩეულია თვითმმართველობის წარმომადგენელი. ასევე მოსწავლეთა წარმომადგენელი არჩეულია დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში და მონაწილეობენ მის საქმიანობაში. სასკოლო სასწავლო გეგმაში დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე სკოლის ვალდებულებები. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირებას, სურვილის შემთხვევაში განათლების ექსტერნატით ფორმით მიღების შესაძლებლობაზე. მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირებას სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდების შესაძლებლობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში რემედიაციის პროგრამაში ჩართვაზე. სსსმ მოსწავლისთვის შესაბამისი სერვისების შეთავაზებაზე. მოსწავლის შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანასთნ დაკავშირებით, სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოება დაცულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის წესებით, ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოს, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით, მშობლებთან დადებულია ხელშეკრულებება, სადაც გაწერილია სკოლის ვალდებულებები სასწავლო პროცესის განხორციელებისას. სკოლაში არსებობს გასაჩივრების მექანიზმები, შემუშავებული მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები. მოსწავლეებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ უფლება არჩევითი საგნები მათივე ინტერესების და სურვილების გათვალიწინებით ისწავლონ.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4 1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. კერძოდ, მოსწავლეთა უფლებების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალეობის მიზნით შინაგანაწესი სკოლაში განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე და სკოლის ვებ/გვერდზე. სასწავლო წლის დაწყების პირველი კვირის განმავლობაში მშობელთა და მოსწავლეთა კრებებზე განიხილავენ და აცნობენ სასკოლო საზოგადოებას ამ დოკუმენტს, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი მოსწავლე სისტემატიურად ესწრება სამეურვეო საბჭოს სხდომას, მონაწილეობას ღებულობს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებასა და მის კორექტირებაში, სამეურვეო საბჭოზე წარდგენილი დირექტორის ანგარიშების (სასწავლო პროცესის

წარმართვისა და საფინანსო საქმიანობის) შეფასებასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, ჩართულია დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში. სკოლა ეფექტურად იყენებს ფეისბუქ გვერდს და ელექტრონულ ჟურნალს სასკოლო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმირების ან სხვადასხვა განსხვავებული აზრის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. სკოლას აქვს ოფიციალური ვებ გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები და კარგი საშუალებაა ნებისმიერი პროცესის გაზიარებისა და გამჭვირვალობის, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პროცესში უკუკავშირის გათვალისწინებისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4. 1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელის თითოეული პუნქტი გამომდინარეობს მოსწავლის ინტერესებიდან. მასში ასახულია მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები, აღნიშნული ხელშეკრულება დასტურდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით და შეიცავს მხარეთა რეკვიზიტებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- თვითმმართველობის დებულება
- მშობლებთან გაფორმებული ხეშეკრულება
- 2025-2026 წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა
- დამრიგებლის დებულება
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- სკოლის ვებ/გვერდი: სსიპ-ჭიათურის N7საჯარო სკოლა
- ფეისბუქ გვერდი
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-180 დამტკიცებული-გასაჩივრების პროცედურები
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-234- მოსწავლეთა ინიციატივების მექანიზმის დამტკიცების შესახებ.
- გამოკითხვის მასალები-არჩევით საგნები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. კერძოდ, დირექტორის N2-172, 26.09.25 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებას, საქართველოს კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმას, სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცესებზე პასუხისმგებელია შესაბამისი უფლებამოსილი პირი. ინფორმაციის გაზიარებისთანავე ახორციელებს შესაბამის პროცედურებს, ამ ინფორმაციებს აცნობს სასკოლო საზოგადოებას სკოლისთვის ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო საშუალებებით ელექტრონულად ან საინფორმაციო დაფაზე განთავსებით.საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა პროცედურის დაცვით, მობილობის სურვილის შემთხვევაში სკოლა პროცედურების განხორციელებას იწყებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საქმისწარმოების წესის დაცვით, ხორციელდება განცხადების განთავსება ელექტრონულ ბაზებში და გამშვები სკოლიდან მიღებული თანხმობის შემთხვევაში, პირადი საქმის მიღებისთანავე, ადმინისტრაციის მხრიდან იქმნება ბრძანება ჩარიცხვის შესახებ. სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე, მოსწავლის სტატუსის შეჩერება/ამორიცხვის შესახებ ბრძანების წინაპირობაა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება. ადგილზე ვიზიტის დროს, მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დადგინდა, სკოლაში კანონმდებლობის წესის დაცვით მიმდინარებს მოსწავლის ჩარიცხვა/ამიროცხვა სტატუსის შეჩერება. კლასის დამრიგებლები მშობლებს აწვდიან ინფორმაციას მოსწავლის სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების შესახებ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციისას და მშობელთა კრებებზე. დამრიგებლები

მოსწავლეთა მშობლებს აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის, კერძოდ სტატუსის შეჩერების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები, გამოცდის ტიპები

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. კერძოდ, სკოლა მე-4 კლასის დასრულების შემდეგ, მშობლებს სთავაზობს მეორე უცხო ენის არჩევანს. მე-10, მე-11, მე-12 კლასში მოსწავლეებს საშუალება აქვთ აირჩიონ არჩევითი საგნები. სასწავლო სასკოლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია რა სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს სწავლების პროცესი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას დამრიგებელი აწვდის მშობლებს და მოსწავლეებს. სკოლაში დაგეგმილი პროექტის შესახებ ინფორმაცია წინასწარ მიეწოდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. საჯარო ინფორმაციები სკოლის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის. სკოლა ახალი გადასულია საკუთარ რეაბილიტირებულ შენობაში. ცდილობას მოსწავლეების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით შექმნას წრეები და კლუბები, განახორციელოს მრავალფეროვანი კონკურსები და მიზნობრივი აქტივობები. მასწავლებლეთა ინიციატივებისა და მშობელებთან შეთანხმებით შემნილია საგნობრივი წრეები: მთემატიკის წრე (დაწყებით და საბაზო საფეხური), ინგლისურის და ქიმიის წრე (საბაზო საფეხური), ქართულის წრე (საშუალო საფეხური) მოსწავლეთა ინიციატივით სკოლაში ფუნქციონირებს ფრენბურთის წრე. სკოლას ჰყავს თვითმართველობა, რომელიც პერიოდულად გამოსცემს გაზეთს ,,ახალი ერა“. მათივე ინიციატივით გაიმართა ,,ნაძვის ხეების კონკურსი", ბიბლიოთეკის მხატვრული ლიტერატურის გამდიდრების მიზნით სკოლა ახორციელებს პროექტს-,,გვისახსოვრეთ წიგნები, ბედნიერნი ვიქნებით“ . სასკოლო საზოგადოების მოტივაციისა და სკოლის მართვაში აქტიური ჩართულობის მიზნით, სკოლაში გამოცხადდა კონკურსი,,სკოლის ლოგო“ შექმნის შესახებ, რომლის გამარჯვებული გახდა სკოლის მოსწავლე. არაფორმალური განათლების ფარგლებში სკოლაში ფუნქციონირებს ღირებულებითი განათლების კლუბი. პროგრამის ფარგლებში მოეწყობა ექსკურსიები, შემოქმედებითი ღონისძიებები და შემეცნებითი აქტივობები. სკოლა აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტში „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი საქართველო I2Q (WB)" steam მიმართულებით, სკოლა ფინალისტებს შორის მოხვდა და დაჯილდოვდა 500 ლარიანი ვაუჩერით და სერტიფიკატით. სკოლას აქვს რემედიაციის პროგრამა, რომელსაც ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში. ეხმარება მოსწავლეებს პროფესიულ ორიენტაციაში. შემუშავებულია მოსწავლეთა ადაპტაციის მექნიზმები და სსსმ მოსწავლის წინსვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. კერძოდ, კლუბებისა და წრეების მუშაობის ამსახველი მასალები, სასკოლო და სასწავლო პროექტები, თვითმმართველობის საქმიანობა, მშობელთა გაერთიანები აქტივობები, სკოლაში არსებული მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია გასაჯაროებულია სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელ facebook-ზე და სკოლის თვითმართველობის სოციალურ ქსელში. ინფორმაციის გასავრცელებლად წარმატებით გამოიყენება სკოლის ელექტრონული ფოსტა და ელექტრონული ჟურნალი. ფუნქციონირებს დახურული საკლასო ჯგუფები („მესენჯერზე“), რომლებში გაერთიანებულია კონკრეტული კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. სკოლა ხშირად ახორციელებს მოსწავლეების მიღწევების, ნაშრომების, კომპლექსური დავალებების პროდუქტების გასაჯაროებას, პრეზენტაციებს სხვადასხვა უწყებიდან მოწვეული სტუმრებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, დაინტერესებული პირებთან, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სკოლაში არსებულ წარმატებულ პრაქტიკას, ინფორმაცია მიეღონ თავად მოსწავლეებისგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- დამრიგებლის დებულება
- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ვებ/გვერდი: სსიპ-ჭიათურის N7საჯარო სკოლა
- სკოლის თვითმართველობის ფეისბუქგვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=61584475286450&mibextid=wwXIfr&rdid=ioR1N4irti1Kawq9&share_url=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Fshare%2F1CDGnzxSwg%2F%3Fmibextid%3DwwXIfr#
- ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/ch.iaturis.meshvide.sajaro.sk.ola
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის N2-172, (26.09.25) ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“
- თვითმართველობის დებულება
- მშობელთა კრების ოქმი-მეორე უხოური ენის არჩევა
- გამოკითხვის მასალები-არჩევით საგნები

- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის N2-179, ბრძანებით დამტკიცებული- ტარნზაციის მექანიზმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები. კერძოდ, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ჭიათურის N7 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანზაციის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, რათა სსსმ მოსწავლეს, პირველკლასელ და მობილობით გადმოსულ მოსწავლეს გაუადვილდეს შეცვლილ სიტუაციასთან შეგუება. რამდენადაც გასულ სასწავლო წლის ბოლოს სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა, შეხვედრა მომავალ პირველკლასელებთან ბაღში გაიმართა. კლასის მოსწავლეებმა სპეციალურად ბაღის აღსაზრდელებისთვის რამდენიმე სახალისო ნომერი შეასრულეს. სკოლის ადმინისტრაციამ მომავალი პირველკლასელები საინფორმაციო ბუკლეტებით, გასაფერადებელი ფურცლებით და ფანქრებით დაასაჩუქრა. პირველკლასელების მოტივაციის ამაღლების მიზნით, პირველ სასწავლო დღეს მოსწაავლეები ჯილდოვდებიან პირველკლასელის სიგელით.

სკოლა მორგებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე(პანდუსი, ლიფტი, ადაპტირებული საპირფარეშო და საჭირო რესურსებით აღჭურვილი რესურსოთხი), რაც ხელს უწყობს სსსმ პირების მარტივად ადაპტაციას სკოლაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტში გაწერილი მექანიზმებით, სკოლა აცხდებს მზაობას უმტკივნეულოდ განხორციელდეს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია.სკოლამ გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ ახალი რებილიტირებული სკოლა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ყველასათვის ხელმისაწვდომის სასკოლო სივრცე სწავლის დაწყების პირველ დღეს საზეიმო მიღებას უმზადებს მთელ სასკოლო საზოგადოებას. პირველკლასელებისთვის საზეიმოდ ეწყობა საკლასო ოთახი და გადასცემს ,,პირველკლასელის სიგელს".

სკოლის მოსწავლეებთან ადაპტაციის პერიოდში მნიშვნელოვანია დამრიგებელის როლი. სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ხელს უწყობს თანაკლასელების დაახლოებას. დამრიგებელი მობილობით გადმოსულ მოსწავლეს, აცნობს კლასში შემსვლელ ყველა მასწავლებელს, ხელს უწყობს კლასელების დამეგობრებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლას გააჩნია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესს, მოსწავლის უნარებს, შესაძლებლობებს. პედაგოგების განცხადებით იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს ამის საჭიროება აქვს, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს, პირველ რიგში მშობლებთან შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების გაცნობა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა. მშობელთან კომუნიკაციის დებულების თანახმადს პარასკევი დღე განსაზღვრულია მშობლებთან შეხვედრის დღედ. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობლის დროულ ინფორმირებას.

სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრა. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მშობელთან შეთანხმებით სკოლა მას სთავაზობს დამატებით კონსულტაციებს, მეცადინეობებს.

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა ინიციატივით სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი წრეები, რომლებიც ხელს უწყობს აკადემუილი მიღწევების გაუმჯობესებას. შემაჯამებელი სამუშაო ფასდება რუბრიკით, რომელიც წინასწარ იცის მოსწავლემ, შემდეგ მასწავლებელი აწვდის კონსტრუქტიულ უკუკავშირს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

მოსწავლეს დადგენილ ვადებში ეწევა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით .კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში. წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე ინტერვიუს

დროს გამოიკვეთა რომ მოსწავლეებს დამრიგებლები აცნობენ მათ უფლებებს, მხარდაჭერის პირობებს, განმსაზღვრელი ნიშნის ამაღლების პირობებს და პროცედურებს, კლასის ან საფეხურის ექსტერნის წესით დასრულების შესაძლებლობას, საგამოცდო ვადებს. მათთვის მიწოდებულია ინფორმაცა, რომ ეს მხარდაჭერა გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე. ყოველივე ეს ეცნობება სასკოლო საზოგადოებას შეხვედრებზე ან სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით. მშობლებს აქვთ ინფორმაცია მოსწავლეთა მობილობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებებისთვს მოსწავლეებს ეთმობათ სასკოლო სივრცეები: სააქტო დარბაზი, კომპიუტერულ ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ფოიე, ეზო, სპორტული დარბაზი. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებაზე, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლება-მოვალეობებს. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, მოსწავლეებს ემსახურება კვალიფიციური ექიმი. სკოლას უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეების მომსახურეობას, რისთვისაც არსებობს სრულად ადაპტირებული ფიზიკური გარემო და ჰყავს კვალიფიციური სპეციალური მასწავლებლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას, რისთვისაც შემუშავებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი წრეები, რომლებიც მასწავლებლების ინციატივთ შეიქმნა და ემსახურება მოსწვლეთა აკადემიური მოსწრების და საგნობრივი კომპეტენციების გაუმჯობესებას. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, რომელიც ასახულია სკოლის ფეისბუქგვერდზე. აღსანიშნავია steam მიმართულებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გახორციელებულ პროექტში „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)" მონაწილეობა, რომლის ფარგლებში სკოლა დაჯილდოვდა 500 ლარიანი ვაუჩერით. აღნიშული ვაუჩერით სკოლამ შეიძინა პროექტორი და განტავსდა შეხვედრების ოთახში. მოსწავლეთა ინიციატივით სკოლაში ფუნქციონირებს ფრენბურთის წრე. სკოლას ჰყავს თვითმართველობა, რომელიც პერიოდულად გამოსცემს გაზეთს ,,ახალი ერა“. მათივე ინიციატივით გაიმართა ,,ნაძვის ხეების კონკურსი", სკოლაში გამოცხადდა კონკურსი ,,სკოლის ლოგო“ შექმნის შესახებ, რომლის გამარჯვებული გახდა სკოლის მოსწავლე. არაფორმალური განათლების ფარგლებში სკოლაში ფუნქციონირებს ღირებულებითი განათლების კლუბი. სკოლა ეხმარება მოსწავლეებს პროფესიის არჩევაში. თანამშრომლობს შპს ,,ბიზნესის და ტექნოლოგიების“ კოლეჯთან. სკოლაში არსებობს სამუშაო სივრცე თვითმართველობისთვის. ასევე შეხვედრების ოთახი და სააქტო დარბაზი, რაც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს დაგეგმონ და განახორციელონ

მრავალფეროვანი აქტივობები. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ იმუშაონ კომპიუტერულ ლაბორატორიაში და შექმნან საინტერესო პროდუქტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას - ამის დასტურია სკოლაში საგნობრივი წრეების არსებობა, მოსწავლეთა ინიციატივების გათვალიწინებით ფრენბურთის წრის ფუნქციონირება, მოსწავლეთა და მშობელთა აზრის გათვალიწინება სასკოლო ფორმის ფერის არჩევაში.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ახალი სასწავლო წლიდან უფრო დაიხვეწება და გააქტიურდება ამ კუთხით მუშაობა.სკოლა მოსწავლეებისა და დაინტერესებული პირებისგან იღებს აქტიურად უკუკავშირს, კითხვარების, პირისპირ საუბრების, დიალოგების გზით და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ეხმარება გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. ამ მიზნით მშობელთა გაერთიანების ინიციატივით სკოლის შესასვლელ ფოიეში დაიდგა წინადადებების ყუთი. ინტერვიუს დროს მშობლებმა გამოთქვეს სურვილი სკოლაში კვების სერვისი არსებობაზე, ასევე აღნიშნეს, რომ სკოლამ იცის აღნიშნულის შესახებ და მიმდინარებს ბიზნეს ოპერატორის მოძიება. მოსწავლეებმა ისაუბრეს ღია სპორტული მოედნის მოწყობაზე, რაც ასევე ცნობილია სკოლის დირექციისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის N2-179, ბრძანებით დამტკიცებული- ტარნზაციის მექანიზმები
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის N2-234, ბრძანებით მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები.
- დამრიგებლის დებულება
- 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ვებ/გვერდი: სსიპ-ჭიათურის N7საჯარო სკოლა
- სკოლის თვითმართველობის ფეისბუქგვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=61584475286450&mibextid=wwXIfr&rdid=ioR1N4irti1Kawq9&share_url=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Fshare%2F1CDGnzxSwg%2F%3Fmibextid%3DwwXIfr#
- ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/ch.iaturis.meshvide.sajaro.sk.ola
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის N2-79, ბრძანებით დამტკიცებული-მშობლებთან ურთიერთობის დებულება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლა ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს. გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს ,,ბიზნესის და ტექნოლოგიების“ კოლეჯთან. მე-11 კლასის მოსწავლეები იმყოფებოდნენ კოლეჯში და გაეცნენ სხვადასხვა პროფესიის სპეციფიკას. კლასის საათის ფარგლებში დამრიგებლები პროფესიების პოპულარიზების მიზნით ატარებენ აქტივობებს. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს სკოლის მხარდაჭერაზე, შეხვედრები მოეწყოთ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან და მათგან მიეღოთ ინფორმაცია, თუ რა სირთულეები, გამოწვევები და დადებითი მხარეები ჰქონდა ამათუ იმ პროფესიას. მე-11, მე-12 კლასის მოსწავლეები დარეგისტრირდნენ კავკასიის საერთაშირისო უნივერსიტეტის მიერ შექმნილ DOMENICO.GE პლატფორმაზე, რომელიც კარგი საშუალებაა მოსწავლეებისათვის პროფესიული არჩევანის გაკეთებისას. სკოლაში ხშირად იმართება შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების წარმომადგენლებთან. პროფესიების გაცნობის მიზნით სკოლა აწყობს სასწავლო ექსკურსიებს სახვადასხვა საწარმოში.

სკოლას მისიით განსაზღვრული აქვს პროფესიულ ორიენტაციაში მოსწავლეების ხელშეწყობა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებიც მოიცას აღნიშნული მიმართულებების შესასრულებელ აქტივობებს, რასაც სკოლა ეტაპობრივად ახორციელებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა აწვდის მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაციებს ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, კონკრეტული სასწავლებლების ღია კარის დღეების შესახებ. სისტემატიურად მასპინძლობს უნივერსიტეტის მესვეურებს, სადაც მოსწავლეებს პირისპირ შეხვედრებში აცნობენ სხვასახვა საინტერესო პროგრამებს და პროექტებს. სკოლის დირექციის მხარდაჭერით მოსწავლეები დარეგისტრირდნენ კავკასიის საერთაშირისო უნივერსიტეტის მიერ შექმნილ DOMENICO.GE პლატფორმაზე, რომელიც კარგი საშუალებაა მოსწავლეებისათვის აღმოაჩინონ საკუთარი უნარები და გაიგო რომელ პროფესიაში გამოიყენო ისინი ყველაზე ეფექტურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა გეგმავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები, რის უზრუნველსაყოფადაც სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილ პროცედურებს შორისაა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროცესის მიმდინარეობის შეფასება. დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებს გამოკითხვის მეთოდს, რაც საშუალებას მისცემს უფრო ეფექტიანად დაგეგმოს ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურეობის მექანიზმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი -შპს ,,ბიზნესისა და ტექნოლოგიების“ კოლეჯი
- სადამრიგებლო პროგრამა
- კლასის საათის გეგმა
- DOMENICO.GE პლატფორმის პრეზენტაცია
- ფეისბუქ გვერდი: **https://www.facebook.com/share/p/17YksUDNZ8/**
- სსიპ - ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ N2-178-ით დამტკიცებული- ხარისხის მართვის პოლიტიკა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. კერძოდ, სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ვადები და მასზე პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის

შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრულია ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან: ა)სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი ბ)საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს; გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი; დ) სსსმ მოსწავლის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი. ისგ ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება საჭიროებისამებრ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. თუ გამოვლინდება საჭიროება, რომ ინდივიდუალურ გეგმაში შევიდეს გარკვეული სახის ცვლილება, სიტუაციურად, ამ შემთხვევაში ისგ ჯგუფი იკრიბება დამატებით. სკოლას ჰყავს ერთი უფროსი სპეც.მასწავლებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს - დირექციასთან, სპეციალურ მასწავლებლებთან და საგნის მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლის წარმომადგენლები ეფექტურად მუშაობენ სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე, სკოლაში ხდება ისგ ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებულია ისგ გეგმები სპეციალური მასწავლებლის და საგნის მასწავლებლის ურთიერთანამშრომლობით, მაღალია მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა, რაც დადებით გავლენას ახდენას სსსმ მოსწავლეთა წინსვლასა და განვითარებაზე. სკოლას აქვს რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლების, მეცნიერებისა და ახლგაზრდობის სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა სასწავლო წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების მხრივ ჩატარებული სამუშაოების შესახებ. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ-ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-156-ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ
- სსიპ-ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-160-სსსმ მოსწავლის ისგ გეგმების დამტკიცებაზე
- სსიპ-ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-159-შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ
- რესურს ოთახის მასალები
- სსსმ მოსწავლის ისგ გეგმები
- ინტერვენციის გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა, დამატებითი არასავლდებულო მომსახურების ფარგლებში მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტირების სერვისს. სერვისის ღირებულების დაფარვა ხდება მუნიციპალური ხარჯებით. ტრანსპორტირება ხდება დამტკიცებული მარშრუტებისა და განრიგის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს დამფინანსებელი სკოლასთან შეთანხმებით, მოსწავლეთა უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლა დამატებითი, არასავალდებულო მომსახურეობის სახით მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტირებას. ტრანსპორტირება ხორციელდება საჭიროებისა და სურვილის მიხედვით. აღნიშნული სერვისების ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

დამატებითი მომსახურება სკოლაში ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, რაზეც პასუხისმგებელია სერვისის მიმწოდებელი. სკოლაში, ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი ყოველდღიურად ახდენს ტრანსპორტის მონიტორინგს, რათა სასწავლო პროცესი წარიმართოს დროულად. ყოველივე ეს დასტურდება სატრანსპორტო განრიგით და ე.წ. ტაბელით, რომელსაც ხელს აწერს მძღოლი და პასუხისმგებელი პირი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სატრანსპორტო ტაბელი
- სსიპ-ქალაქ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრ. N2-235- სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

დაწყებითი საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი რეგულირდება სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კურიკულუმის დაგეგმვის, დანერგვის, მონიტორინგის, შეფასებისა და რევიზიის ეტაპებს და უზრუნველყოფს პროცესის სისტემურ, გამჭვირვალე და მონაწილეობაზე დაფუძნებულ განხორციელებას.

მეთოდოლოგია ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპს და ქმნის მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული არიან სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საგნობრივი კათედრები და მასწავლებლები. ასევე უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობა, რაც ხელს უწყობს სკოლის საჭიროებებზე მორგებული და რეალურ საგანმანათლებლო კონტექსტთან შესაბამისი კურიკულუმის შექმნას.

დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეთა როლები და პასუხისმგებლობები კურიკულუმის განვითარების ყველა ეტაპზე: საჭიროებების იდენტიფიცირება და დაგეგმვა, კურიკულუმის შემუშავება, მისი დანერგვა სასწავლო პროცესში, განხორციელების მონიტორინგი, შედეგების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში რევიზია. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმის უწყვეტ განვითარებას და მის შესაბამისობას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, ასევე სკოლის განვითარების პრიორიტეტებთან.

კურიკულუმის განვითარება სკოლის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რაც ასახულია როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, ასევე შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სტანდარტულ გეგმას, შემუშავებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გათვალისწინებით და შეესაბამება სკოლის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს. კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შესაბამისობას სკოლის საგანმანათლებლო მიზნებთან.

დოკუმენტის – „სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ – შესაბამისად, კურიკულუმის განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლი. საგნობრივი კათედრები სისტემატურად აანალიზებენ სწავლა-სწავლების პროცესს, ახდენენ საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებას, განსაზღვრავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ კურიკულუმის კომპონენტების გადახედვასა და რევიზიას.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ დამრიგებლებსა და მასწავლებლებს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ მოსწავლეებთან და მშობლებთან. მათი ჩართულობით ხდება უკუკავშირის შეგროვება და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების იდენტიფიცირება. მიღებული ინფორმაციისა და სხვადასხვა დიაგნოსტიკური მონაცემის საფუძველზე იგეგმება კურიკულუმში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა საჭიროებებზე უკეთ მორგებას.

კურიკულუმის განხორციელების პროცესს ზედამხედველობას უწევს სკოლის ადმინისტრაცია. ადმინისტრაცია რეგულარულად აანალიზებს საგნობრივი კათედრების ანგარიშებს, აკვირდება სასწავლო პროცესს გაკვეთილებზე დასწრებისა და შეფასების მეშვეობით და მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით აფასებს კურიკულუმის განხორციელების ეფექტიანობას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს კურიკულუმის განვითარებას მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საფუძველზე და ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ინტერესების სისტემურ გათვალისწინებას.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას და თანამშრომლობის პრინციპს. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით – „სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ეტაპებს, მონაწილე მხარეების როლებსა და პასუხისმგებლობებს.

დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მკაფიოდ არის განსაზღვრული მასწავლებლებისა და

საგნობრივი კათედრების ფუნქციები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საგნობრივი მიმართულებების დაგეგმვაზე, სასწავლო პროცესის ანალიზსა და კურიკულუმის კომპონენტების განვითარებაზე.

ამასთანავე, განსაზღვრულია სკოლის ადმინისტრაციის როლი, რომელიც კოორდინაციას უწევს პროცესს, უზრუნველყოფს კურიკულუმის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და აკონტროლებს მისი განხორციელების ხარისხს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ასევე გათვალისწინებულია მშობელთა გაერთიანებისა და მოსწავლეთა ჩართულობა, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მოსაზრებებისა და საჭიროებების გათვალისწინებას.

აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა ხელს უწყობს ისეთი კურიკულუმის შექმნას, რომელიც ეფუძნება სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვას, პასუხობს სკოლის საგანმანათლებლო საჭიროებებს და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლაში კურიკულუმის ხელმისაწვდომობა და მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის უზრუნველყოფილია წინასწარ განსაზღვრული მექანიზმებისა და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. აღნიშნული პროცესები აღწერილია დოკუმენტში – „სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც განსაზღვრულია კურიკულუმის გავრცელებისა და გაცნობის ფორმები, პასუხისმგებელი პირები და ინფორმაციის მიწოდების არხები.

დოკუმენტის მიხედვით, სკოლა იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო პლატფორმებს, რათა უზრუნველყოს კურიკულუმის ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. კურიკულუმთან დაკავშირებული ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტები ვრცელდება სკოლის ოფიციალური ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტისა და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით.

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სასკოლო სივრცეშიც – საინფორმაციო დაფების, ბეჭდვითი მასალებისა და სხვადასხვა საინფორმაციო რესურსის გამოყენებით. ამასთანავე, კურიკულუმის გაცნობა და განხილვა ხდება სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებზე, მათ შორის საჯარო ღონისძიებებზე, სამუშაო შეხვედრებსა და მშობელთა კრებებზე.

აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს კურიკულუმის გამჭვირვალობას, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობასა და პროცესში მათი ჩართულობას.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმები;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სადამრიგებლო პროგრამა;

თანამდებობრივი ინსტრუქციები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია), სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალების იდეა, რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, შემოქმედებითი, თანამშრომლობის უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. **2.1.2.1ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნებში - მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია, მსოფლიოს ისტორია წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია მოსწავლეების შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, კურიკულუმები თანხვედრაში ეროვნული სასწავლო გეგმითა და ცალკეული საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ ძირითად კონცეფციებთან და პრინციპებთან. აღსანიშნავია, რომ თითოეული საგნისა და კლასის შემთხვევაში, სამივე საფეხურზე, განსაზღვრულია საგნობრივი საკითხები, საგნობრივი საკითხების გასააზრებლად საჭირო სასწავლო რესურსები, სხვადასხვა ფორმატის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას უწყობს ხელს, ასევე, წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა განვითარებას შეფასების, შესაბამისი რეკომენდაციების გაზიარების ან/და მათ საფუძველზე სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა/განხორციელების გზით. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა უცხოური ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა) მიმართულებით ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები (ძირითადად სახელმძღვანელო). შერჩეული შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ასევე, სკოლას აქვს ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკაც და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტებს. ვიზიტის დროს მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის სახით გამოგზავნილ კურიკულუმებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ მზაობა სრულყოფილად შეავსონ/გაასწორონ კურიკულუმი. **რჩევა:** 1. კურიკულუმის გრაფაში “თემა” მითითება მოხდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის

	საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემებისა და არა მხოლოდ სახელმძღვანელოს თავებისა. 2. სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული გრაფა სრულყოფილად შეივსოს. 3. ორივე უცხო ენაში თითოეული თემის ფარგლებში ხდებოდეს ყველა სამიზნე ცნების დაფარვა. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას გრძელვადიანი საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად. დოკუმენტაციის ანალიზი და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება თანმიმდევრული და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე. შუალედური მიზნების შესამოწმებლად გამოყენებული დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების ეტაპების გათვალისწინებით. შემოქმედებითი ტიპის დავალებების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას და სასწავლო პროცესის მიზნობრივ და ეფექტიან წარმართვას. სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებენ ინტეგრირებულ მიდგომებს და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა საგნის ცოდნის დაკავშირებას და მისი პრაქტიკულ გამოყენებას. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო და საგანმანათლებლო ღონისძიებაში, რაც დადებითად აისახება მათი შემოქმდებითი უნარებისა განვითარებასა და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე. **რჩევა:** სასურველია, X კლასის მუსიკის კურიკულუმში პირველ თემაში „კონტექსტ-მაგალითის“ გრაფაში საკითხის ნაცვლად მიეთითოს შესაბამისი კონტექსტ-მაგალითი. კონტექსტ-მაგალითის მითითება მიზანშეწონილია მეორე თემაში. VII კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები საჭიროებს გარკვეულ სტილისტურ და შინაარსობრივ დაზუსტებას. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი უფრო დავალების ან აქტივობის ფორმას იღებს. სასურველია, კონტექსტ-მაგალითი წარმოაჩენდეს შესაბამისი ცნების გამოყენებას და იყოს მითითებული იმ ფორმით, როგორც ეს წარმოდგენილია **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**

სახელმწიფო ენა	სასკოლო კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს დაგეგმვასა და განვითარებას. მისი მიზანია სწავლების ორგანიზება თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ და მიზანმიმართულ გადაცემას. კურიკულუმი ასევე ქმნის შესაძლებლობას, რომ მრავალფეროვანი თემებისა და შემაჯამებელი დავალებების საშუალებით მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა და განივითაროს სხვადასხვა უნარი. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს აქტიურ და ჩართულ გარემოს, რაც ზრდის მოტივაციას და აუმჯობესებს სწავლის შედეგებს. ამასთან, იგი პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმები (I-XII კლასები) ორიენტირებულია მოსწავლის შემეცნებითი პროგრესის უზრუნველყოფაზე. სასწავლო პროცესი დაგეგმილია კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაყრდნობით, სადაც თითოეული თემა და კომპლექსური დავალება (მაგ: "ვარდების სათბური", “ პაროლის ამოცნობა” "ოქროს კვეთა"და სხვა) ემსახურება მოსწავლის მიერ საკუთარი ცოდნის გარდაქმნასა და განვითარებას. კურიკულუმი იძლევა მოქნილობის საშუალებას, რათა მასწავლებელმა სასწავლო გზა მოარგოს კლასის საჭიროებებს. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, შედგენილი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და ასახავს იმ ძირითად თემებს, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში უნდა შეისწავლონ მოსწავლეებმა. კურიკულუმები წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს აუცილებელ კომპონენტებს. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს მათი აქტიური

	ჩართულობის, პრაქტიკული უნარებისა და ციფრული კომპეტენციების განვითარებას. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნებად და თავისთავად გამიზნულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კათედრები კურიკულუმებს შეიმუშავებენ წინა წლის კურიკულუმების რეფლექსიის საფუძველზე და მზად არიან დახვეწონ ისინი ურთიერთთანამშრომლობისა და გაზიარების, აგრეთვე დანერგვის ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, როგორც ეს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშია გაწერილი. ამის უზრუნველსაყოფად ისინი თანამშრომლობენ ასევე მშობლებთან, დახურულ სოციალურ ჯგუფებში უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს და იღებენ უკუკავშირს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. **2.1.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე, საბუნებისმეტყველო საგნებში ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს - სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში), თანამშრომლობის უნარი (ჯგუფში მუშაობისას). კურიკულუმს თან ახლავს დავალების პირობა და შეფასების რუბრიკები. ცხრილში ცალკე სვეტში წარმოდგენილია რესურსები. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კურიკულუმის ცხრილები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, შემოქმედებითი დავალების პირობა, შეფასების რუბრიკები, კათედრის სხდომის ოქმები, დამხმარე რესურსების ჩამონათვალი და სხვა) გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს,

	გრძელვადიან მიზნებს. **რჩევა:** საგნობრივი სტანდარტით გაწერილი თემის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებები. შესაბამისად, ბიოლოგიის მე-7კლასის კურიკულუმში თემის - სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში სასურველია მიეთითოს ყველა სამიზნე ცნება (მითითებულია მხოლოდ ერთი). **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები შესაბამისობაშია ესგ-ით განსაზღვრულ შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან. ყველა საგნის ფარგლებში თითოეული კლასისთვის წარმოდგენილია დოკუმენტები, რომლებშიც გაწერილია საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემების ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები. აღნიშნულ დოკუმენტში, ასევე, წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. **რჩევა:** საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, მოქალაქეობის და ისტორიის კურიკულუმებში გამოიკვეთოს მიმართება/კავშირი საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის. ამასთანავე, საბაზო საფეხურზე, ისტორიაში, ყველა კლასის კურიკულუმში აისახოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება და მათ დასამუშავებლად განისაზღვროს საგნობრივი საკითხები. 2.1.2.2 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. ორივე უცხო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი პროდუქტის იდეები წარმოდგენილია იმდაგვარად, რომ განსახორციელებელი აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, განსაზღვრულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, რასაც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი პროდუქტი. მათი განხორციელების პროცესში საჭირო იქნება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ხორციელდებ პროექტები, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს

	ასრულებს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. თემების ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ხოლო კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი და კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. დავალებების შესრულების პროცესში მოსწავლეები გეგმავენ საქმიანობას, თანამშრომლობენ, აკეთებენ დასკვნებს და ახორციელებენ რეფლექსიას. სამივე საფეხურის კურიკულუმი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას. **რჩევა:**სასურველია, X კლასის მუსიკის კურიკულუმში პროექტის იდეა უფრო მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული, რადგან წარმოდგენილი ფორმულირება უფრო საკითხის აღწერის ხასიათს ატარებს, ვიდრე პროექტის იდეას. მნიშვნელოვანია, პროექტის იდეა წარმოაჩენდეს პროექტის ძირითად ჩანაფიქრს, მოსწავლის საქმიანობასა და მოსალოდნელ საბოლოო პროდუქტს, რაც ხელს შეუწყობს დავალების მიზნის უკეთ გააზრებას და სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას. ასევე მიეთითოს ის ქცენებები, რომლებიც მუშავდება პროექტის ფარგლებში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მიეთითოს მხოლოდ ის ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ მუშავდებს თემის ფარგლებში. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	კურიკულუმი უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მის მიერ განსაზღვრულ მიზნებს. იგი წარმოადგენს იმ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც სკოლა ახორციელებს ეროვნული საგანმანათლებლო პრიორიტეტების პრაქტიკაში გადმოტანას. კურიკულუმი ასახავს ზოგად ეროვნულ მიზნებს კონკრეტულ სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს მათ ეტაპობრივ და სისტემურ განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ სკოლას პირველი კლასის კურიკულუმში გამოტოვებული აქვს ცნება ,,წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასისთვის)", ასევე საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გამოტოვებულია ცნება ,,სტრატეგიები". თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაკვეთილების გეგმებთ, შემოქმედებითი და კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს აღნიშნულ ცნებებზე. კურიკულუმებში ასევე თემატურად არ არის ასახული ენობრივ-გამომსახველობითი და გრამატიკული მასალები. თუმცა შესაბამის სამიზნე ცნებებზე მუშაობას თანდართული დოკუმენტები ამტკიცებს. სკოლა მუშაობს აღნიშნული მიმართულებით, ამასთან, ცალკე გრამატიკას ეთმობა კვირაში ერთი ან ორი საათი. **რჩევა:** გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს, სასურველია, კურიკულუმში აისახოს შესაბამისი ინფორმაცია იმისათვის, რომ სასწავლო პროცესის შესახებ სურათი უფრო ნათლად წარმოჩნდეს. უნდა აისახოს საგნის შინაარსობრივი ნაწილი სრულად სამიზნე ცნებების შესაბამისად. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან. დოკუმენტაციაში მკაფიოდ არის გაწერილი კავშირი თემებს, საკიტხებსა და მათემატიკის სამ სამიზნე ცნებას შორის. კურიკულუმების დაგეგმილია ისეთი აქტივობები, (ძირითადად შემოქმედებითი დავალებები) რომლებიც ხელს უწყობს ფუნქციური კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა და ნებელობა. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულემები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება, კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციული და ციფრული წიგნიერების განვითარებას, ტექნოლოგიების ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი უნარების ჩამოყალიბებას. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. არსებობს მცირე გამონაკლისი, როდესაც **პირველი კლასის ქართული ენის კურიკულუმში** წინასაანბანო პერიოდში არ მუშავდება ცნება - ,,წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა". თუმცა, რიგ შემთხვევებში, მაგ: **ბუნებისმეტყველების მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში** განხილული თემები არ შეესაბამებოდა სტანდარტის სავალდებულო თემებს, **მათემატიკის პირველი კლასის კურიკულუმში** პირველივე თემაში გამორჩენილი იყო ცნება - ,,მათემატიკური მოდელი", ხოლო რესურსებითა და შემოქმედებითი ტიპის დავალებით დასტურდებოდა მისი დამუშავება. გასაუბრებაზე მიღებული რჩევის საფუძველზე მასწავლებლებმა შეძლეს აღნიშნული უზუსტობის გამოსწორება და მოახერხეს უკვე შესწორებული ვერსიების ვიზიტის 2 დღიან ვადაში წარმოდგენა, რაც მისასალმებელია. გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, პოსტერების შექმნა და სხვ.), რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. **სასურველია:** ბუნებისმეტყველების მე-2 კლასის კურიკულუმის მსგავსად, ყველა საგნისა და კლასის კურიკულუმში დაწყებით საფეხურზე გაიწეროს საათობრივი დატვირთვა სავალდებულო თემების მიხედვით. პირველი კლასის ქართული ენის კურიკულუმში წინასაანბანო პერიოდში დამუშავდეს ცნება - ,,წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა".გადაიხედოს პირველი კლასის მათემატიკის კურიკულუმი. ზოგიერთ თემასთან არაა განსაზღვრული სამივე სამიზნე ცნება. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე, საბუნებისმეტყველო საგნებში ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს - სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში), თანამშრომლობის უნარი (ჯგუფში მუშაობისას). კურიკულუმს თან ახლავს დავალების პირობა და შეფასების რუბრიკები. ცხრილში ცალკე სვეტში წარმოდგენილია რესურსები. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კურიკულუმის ცხრილები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, შემოქმედებითი დავალების პირობა, შეფასების რუბრიკები, კათედრის სხდომის ოქმები, დამხმარე რესურსების ჩამონათვალი და სხვა) გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	თითოეული საგნის ფარგლებში წარმოდგენილია რესურსები თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში, რომლებიც კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხების/საკითხთა კლასტერებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისია და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ასევე, ელექტრონული რესურსები. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში უმეტესად სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სასწავლო რესურსები - ძირითადად გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე, ელექტრონული რესურსები, რომელებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით

	გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია, უცხოური ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა) მიმართულების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სასწავლო რესურსებში, სწორად იყოს მითითებული იმ რესურსების ელექტრონული მისამართები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად და გამრავალფეროვნდეს ელეტრონული რესურსები. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული, მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ხოლო დამატებით მითითებულია სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას და სასწავლო შედეგების ეფექტიან მიღწევას. სკოლაში ასევე შემუშავებულია დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაციის წესი, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების მიზანშეწონილობის, სანდოობისა და ხარისხის შეფასებას. **რჩევა:** სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში აისახოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში და რომელიც ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა. მიზანშეწონილია მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, ხოლო მუსიკის კურიკულუმებში - მოსასმენ მასალის შესაბამისი ბმულები. ასევე სასურველია ბმულების პერიოდული გადახედვა და განახლება, რათა ისინი ტექნიკურად გამართული და ხელმისაწვდომი იყოს. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები – სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული საშუალებები, ასევე თემატურად შერჩეული დამატებითი წყაროები – ეფექტურად გამოიყენება და ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები მათ აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება როგორც აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, ისე სოციალური უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სკოლაში მათემატიკის სწავლება უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი და ვალიდური რესურსებით. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, კურიკულუმში ინტეგრირებულია დამხმარე სახელმძღვანელოები და საგანმანათლებლო პლატფორმები: GeoGebra, ხანის აკადემია და ტელესკოლა. Math.ge -ს რესურსები (მათ შორის დატებითი ელექტრონული სახელმძღვანელო „მატემატიკური წიგნიერება“) აღნიშნული რესურსები ეხმარება მოსწავლეებს აბსტრაქტული ცნებების ვიზუალიზაციაში, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათემატიკური მოდელის უკეთ აღქმისა და ლოგიკური კავშირების დასანახად. რესურსების შერჩევა ხდება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. **რჩევა: სასურველია,** გადაიხედოს მე-12 კლასის მათემატიკის კურიკულუმი და მასში, მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები იქნას ინტეგრირებული. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ მე-12 კლასი წარმოადგენს საშუალო საფეხურის დასკვნით ეტაპს, სადაც პრიორიტეტულია ცოდნის ტრანსფერი და ფუნქციური უნარების სრულყოფა. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე, კურიკულუმებში წარმოდგენილია ონლაინ რესურსები და ვიდეობმულები. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმით გათვალისწინებულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას და მოსწავლეთა ციფრული უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესში გამოყენებულია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები და ციფრული პლატფორმები, როგორიცაა **school.emis.ge**, ასევე პროგრამირების და მოდელირების საგანმანათლებლო პლატფორმები - **scratch.mit.edu**, **makecode.microbit.org**, **tinkercad.com** და პრაქტიკული საქმიანობისთვის **Arduino kit**. აღნიშნული რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, პრაქტიკული უნარების განვითარებას და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. თუმცა, შედარებით მწირადაა წარმოდგენილი მე-3 კლასის

	ქართულის კურიკულუმში. **სასურველია,** მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში, კერძოდ მე-3 კლასის ქართული ენის კურიკულუმში გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, და მოდიფიცირებული დავალებები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. **რჩევა:** საურველია მოხდეს დავალების მოდიფიცირება სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, რამდენადაც ფიზიკის მე-8 და მე -9 კლასის კურიკულუმში მოცემულია ერთიდაიგივე დავალება (დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმები იდენტურია). **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	თითოეული საგნის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომები. კერძოდ, აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი ისგ გეგმებით რომლებიც მოსწავლეთა განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით არის შექმნილი. ამასთანავე, რიგ საგნებში წარმოდგენილია მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალების ნიმუშები. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. ეს ნათლად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებით პროდუქტის იდეებში. აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ორივე საგანში და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის. **რჩევა:** უმჯობესია, ინგლისურ და რუსულ ენების ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში სრულად აისახოს ყველა დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების პრინციპებსა და დიფერენცირებულ სწავლების მიდგომებს. დოკუმენტში წარმოდგენილია კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების მიღწევას და ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზებას. კურიკულუმით გათვალისწინებული დავალებების ნაწილი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დავალების ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი სხვადასხვა ფორმით წარმოადგინოს, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალური საჭიროებების, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებას და ქმნის დიფერენცირებულ და მოქნილ საგანმანათლებლო გარემოს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ასახავს, როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესისა და შემოქმედებითი დავალებების ადაპტირება სსსმ მოსწავლეებისთვის, რაც ხელს უწყობს მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას. **რჩევა:**სასურველია,VI კლასის მუსიკის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მოცემული ადაპტირებული დავალება უშუალოდ სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში იყოს დაგეგმილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლის ჩართულობა საერთო სასწავლო პროცესში. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებას სასწავლო პროცესში. ნათლად ჩანს მცდელობა, რომ სწავლა-სწავლება ორგანიზებული იყოს თითოეული მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებსა და მეთოდებს, რათა უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართულობა, მათ შორის იმ მოსწავლეებისაც, რომლებიც განსაკუთრებულ

	საგანმანათლებლო საჭიროებებს ავლენენ. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებშიც იკვეთება როგორც დიფერენცირებული, ისე ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. სასწავლო გარემო ხელს უწყობს ინკლუზიურობის პრინციპების დაცვას და ყველა მოსწავლის მხარდაჭერას. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას და ეყრდნობა დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. კომპლექსური დავალებების პირობები და ეტაპები (სკაფოლდინგი) აგებულია ისე, რომ სხვადასხვა მზაობისა და საჭიროების მქონე მოსწავლემ შეძლოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება. მაგალითად, ჯგუფური პროექტების დროს ფუნქციები ნაწილდება მოსწავლეთა ინტერესებისა და უნარების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობას კანონზომიერებების კვლევისა თუ ლოგიკური ამოცანების გადაჭრის პროცესში. აღსანიშნავია, რომ სკოლაში დანერგილია დიფერენცირებული გაკვეთილების პრაქტიკა, რომლებიც მორგებულია კლასში არსებულ სხვადასხვა საჭიროებებზე. ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსმ) მოსწავლეებისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ), რომლებიც ჰარმონიზებულია საგნობრივ კურიკულუმთან და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და განვითარების დინამიკას. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი ცორციელდება ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით. პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და სწავლების სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური ტემპით განვითარებას. მასწავლებლები არეგულირებენ ფიზიკურ დატვირთვას, სთავაზობენ მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის დავალებებს, ვარჯიშების განსხვავებული რაოდენობით ან ტემპით შესრულებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლების პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში. სწავლებისას გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებს. ინტერვიუში პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით იყენებს აქტივობებს, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მრავალფეროვან რესურსებს.

	2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. წარმოდგენილია **მე-3 კლასელი სსსმ მოსწავლის ინდ.გეგმა,** მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მოსწავლისათვის მომზადებული ადაპტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ასევე წარმოდგენილია გაკვეთილების გეგმები **დიფერენცირების** გათვალისწინებით **I-II კლასის ქართულსა და მათემატიკაში.** საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ **რემედიაციას.** ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს. აქტიურად იყენებენ გაკვეთილებზე შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, რაც დამატებით ინფორმაციას აწვდის მათ ამა თუ იმ საკითხის ფარგლებში მოსწავლეთა მიღწევის დონეზე. ზოგიერთ პედაგოგს, კერძოდ **მე-4 კლასის** ქართულის მასწავლებელს, აქვს დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარების გამოცდილება, რაც მას ეხმარება, სასწავლი პროცესი გამოვლენილი საჭიროებებისა და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით დაგეგმოს. ეს გამოცდილება სკოლას წაადგება იმ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებაში, რასაც გეგმავს სასწავლო წლის დასასრულამდე დაწყებით საფეხურზე. მასწავლებლებს აქვთ ასევე დავალებების ადაპტირების გამოცდილებაც, რაც ასევე ქმნის ინკლუზიურ გარემოს. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილ ყველა საგნის კურიკულუმს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინარე ცოდნა, გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. წარმოდგენილ ნიმუშში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

	2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სტრატეგიები/მიდგომები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასების წარმოდგენილ რუბრიკებში ასახულია აღნიშნული მიდგომა. კერძოდ, კონკრეტული დავალებებისთვის შექმნილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სოლო ტაქსონომიას და მკაფიოდ წარმოაჩენს კავშირს სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. **რჩევა:** რჩევა მიემართება საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეულ საგანს, რომელშიც განმსაზღვრელი შეფასება იწერება. სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულები თანაბრად გადანაწილდეს იმ სამიზნე ცნებებზე, მათთან მიმართებით მისაღწევ შედეგებზე, რომლებიც კონკრეტული საკითხების ფარგლებში მუშავდება. ბუნდოვანია, რიგ შემთხვევებში რა პრინციპით ნაწილდება არათანაბარი ოდენობის ქულები ერთი საგნის ფარგლებში სხვადასხვა შედეგთან მიმართებით. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული დავალებების შეფასების კრიტერიუმები. კათედრას აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩო- ცხრილებში შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტის იდეას. კათედრაზე ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიას. **რჩევა:** უმჯობესია, უცხო ენების კურიკულიმის ჩარჩოში შემოქმედებით პროდუქტებთან მიმართებით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოიცავდეს ყველა სამიზნე ცნებას. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებს. გამოიყენება შეფასების ორი ფორმა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი, რაც უზრუნველყოფს როგორც მოსწავლის აკადემიური მიღწევების განსაზღვრას, ისე მისი განვითარების დინამიკის გამოვლენას და მხარდაჭერას. **რჩევა:**II კლასის შეფასების რუბრიკაში მითითებული სამიზნე ცნება „სხვადასხვა კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები“ მუშავდება V-VI კლასებში,

	სასურველია გასწორდეს ტექნიკურიშეცდომა **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა როგორც ცოდნის დონის განსაზღვრას, ისე სხვადასხვა უნარის შეფასებას რაც შეესაბამება მრავალმხრივი შეფასების თანამედროვე მოთხოვნებსა და მიდგომებს. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ წინასწარ გაწერილ კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და ვალიდურობას. ამასთან, სკოლა სისტემატურად აანალიზებს შეფასების შედეგებს. პრაქტიკაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების ფორმები, ხოლო მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივობისთვის შერჩეული შეფასების შესაბამისი ფორმები. **რჩევა:** შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. ასევე სასურველია, რომ პროდუქტის(ესე, პრეზენტაცია, თხზულება...) შინაარსთან დაკავშირებით მეტად იყოს ჩაშლილი კრიტერიუმები, რაც მას მეტად მოქნილსა და ნათელს გახდიდა. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში მოქმედებს შეფასების გამჭვირვალე და მრავალმხრივი სისტემა. განმავითარებელი შეფასება ფოკუსირებულია სამიზნე ცნებებზე და ეხმარება მოსწავლეს გააცნობიეროს საკუთარი პროგრესი. შეფასების რუბრიკები ზომავს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ იმას, თუ რამდენად სიღრმისეულად შეუძლია მოსწავლეს მათემატიკური მოდელის გამოყენება, ლოგიკური არგუმენტაცია და კანონზომიერებების განზოგადება. ეს მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას და მის ორიენტირებას სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. წარმოდგენილია ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ესგ-ის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, თუმცა ზოგიერთ შეფასების რუბრიკაში ეს მკაფიოდ არ ჩანს. **რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას (მაგალითად მე-11 კლასი. თემა: "ტრ ფუნქციები" განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა არის ზოგადი ხასიათის) სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. სასურველია, შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების, მაგალითები. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაზე. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ობიექტურ და მრავალმხრივ შეფასებას. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი მასალები მოიცავდა რუბრიკებს, რომლებიც შეესაბამება კონკრეტული თემების ფარგლებში დასამუშავებელ ცნებებსა და შედეგების მისაღწევ ინდიკატორებს. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ პედაგოგებს გააჩნიათ კომპეტენცია და გამოცდილება რუბრიკების მიზნობრივად გამოყენებაში — თემის შიგნით შედეგების განსაზღვრისა და შეფასების პროცესში. ეს მიდგომა ნათლად აჩვენებს, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ შეფასების მნიშვნელობას, როგორც სწავლების პროცესის ორგანულ ნაწილს და იყენებენ რუბრიკებს მოსწავლეთა პროგრესის გასაზომად, არა მხოლოდ საბოლოო შედეგების, არამედ სწავლის პროცესის დინამიკის შეფასების მიზნით. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების სპორტის კათედრის კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების მაგალითები სპორტში;
- სპორტის კათედრის ოქმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპორტში;

- სპორტის კათედრის კომპლექსური დავალებების მაგალითები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ესთეტიკის კათედრის საგნობრივი კურიკულუმები;
- ესთეტიკის კათედრის შეფასების რუბრიკები
- ესთეტიკის კათედრის შემოქმედებითი დავალებები;
- ესთეტიკის კათედრის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ესთეტიკის კათედრის ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა
- საბუნებისმეტყველო საგნების (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) სამივე საფეხურის კურიკულუმები,
- საბუნებისმეტყველო კათედრის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
- საბუნებისმეტყველო კათედრის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,
- საბუნებისმეტყველო კათედრის სასკოლო და სასწავლო (მათ შორის STEM) პროექტები,
- დაწყებითი და საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმები,
- ქიმიის წრის ოქმი,
- დამხმარე რესურსების ჩამონათვალი და დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი საბუნებისმეტყველო კათედრაზე
- საბუნებისმეტყველო კათედრის სამოქმედო გეგმა, პორტფოლიო და კათედრის ანგარიში,
- საბუნებისმეტყველო კათედრის შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები - შეფასების რუბრიკებით
- მათემატიკის კათედრის საგნობრივი კურიკულუმები (I-XII კლასები)
- მათემატიკის თემატური მატრიცები.
- შემოქმედებითი დავალების ბარათები მათემატიკაში
- მატემატიკის კურიკულუმის ადაპტირებული ვერსიები: სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ)
- მათემატიკის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმები სახელმწიფო ენაში (პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით)
- ელექტრონული წიგნები და ანიმაციები სახელმწიფო ენაში
- შეფასების რუბრიკები სახელმწიფო ენაში
- კითხვის-გაკვეთილზე-დაკვირვების-ფორმა (სახელმწიფო ენა);
- ქართული წლიური ანგარიში
- პროექტი სკოლისთვის- “გვისახსოვრეთ წიგნები, ბედნიერნი ვიქნებით“ (სახელმწიფო ენა)
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსები - პრეზენტაცები - სახელმწიფო ენის კათედრა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები სახელმწიფო ენაში;
- დიფერენცირებული გაკვეთილების ნიმუშები სახელმწიფო ენაში;
- დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების დამადასტურებელი გაკვეთილების ნიმუშები: ბარათაშვილის მერანი, ეპოქა, ისტორია, დიაგრამა და ლექსიკა. სასწავლო გაჩერებების მაგალითი ,,ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით.
- ინტეგრირებული გაკვეთილების ნიმუშები: ,,ჯანსაღიცხოვრება Healhty lifestyle”,, ,,სწავლა აღზრდა- წიგნი და მისი მნიშვნელობა“
- ისგ გეგმები

- ბიბლიოთეკის დებულება
- კათედრის სხდომის ოქმი
- გაკვეთილზე-დაკვირვების-ფორმა
- ინკლ.განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა
- კომპიუტერები კათედრებს
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა: რესურსების, შემაჯამებლებისა და სახელმძღვანელოების ჩამონათვალი.
- **საშუალო საფეხური** - შემოქმედებითი დავალებები
- **საბაზო საფეხური** - შემოქმედებითი დავალებები
- **დაწყებითი საფეხური**-შემოქმედებითი დავალებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია შემოქმედებითი დავალებები და რესურსები. დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. როგორც გასაუბრებით გაირკვა: შემოქმედებითი პროდუქტების, ვიდეო გაკვეთილების, ვირტუალური ლაბორატორიისა და სიმულაციების გარდა სკოლაში მოსწავლეები მუშაობენ კვლევით დავალებებზე, რაც ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას და კვლევის უნარების განვითარებას. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება თითოეული საგნის ფარგლებში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, შეფასების რუბრიკებით და მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრებით. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში სტანდარტით გათვალისწინებული თემები ისეა აგებული, რომ მოსწავლე ეცნობა შესასწავლ საკითხებს ძირითადი სახელმძღვანელოდან, დამატებითი წყაროებიდან და შერჩეული ელექტრონული რესურსებიდან. თითოეული სავალდებულო თემა ჯამდება შემოქმედებითი პროდუქტის იდეით, რომლის განხორციელება იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ შეასრულოს აქტივობები, რათა შეძლოს შეძენილ ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. უცხოური ენების კურიკულუმების ჩარჩოს მიხედვით კათედრას აქვს დეტალურ გეგმა/ნაბიჯები თუ როგორ განხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს, ამოცანებსა და შედეგებს საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით. სწავლების პროცესში გამოიყენება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები. წარმოდგენილი შესრულებული დავალებების პროდუქტები, მათ შორის შემოქმედებითი ნამუშევრები, ცხადყოფს, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები პრაქტიკაში რეალურად ხორციელდება. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლაში სასწავლო პროცესი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. პედაგოგები სწავლების დაგეგმვისას ეყრდნობიან კურიკულუმში წარმოდგენილ თემებს, შემაჯამებელი დავალებების იდეებს, სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს. სასწავლო ერთეულები წარიმართება კურიკულუმებში განსაზღვრული მიზნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. ამასთან, სკოლაში არსებული კურიკულუმები არა მხოლოდ შეესაბამება პრაქტიკულ სწავლებას, არამედ წარმოადგენს სასწავლო პროცესის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ჭიათურის N7 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. მათემატიკის პედაგოგები ყოველდღიურ პრაქტიკაში ახდენენ კურიკულუმით განსაზღვრული გრძელვადიანი/ შუალედური მიზნების რეალიზებას. ეს დასტურდება გაკვეთილის გეგმებით (მაგ: ინტეგრირებული ინგლისურთან), შემოქმედებითი დავალებებით (მაგ: "მსოფლიოს უდიდესი 10 ქვეყანა მოსახლეობის მიხედვით და ინტერნეტიზაცია" მე-5 კლ. პაროლის ამოცნობა მე-7კლ. "პოსტერის შექმნა-ხდომილობა მათეამტიკაში"- მე-12 კლ) და პროექტების (მაგ: „ოქროს კვეთა") მიმდინარეობით, სადაც აქცენტი კეთდება მათემატიკური მოდელირების, კანონზომიერებების ძიებისა და ლოგიკური მსჯელობის განვითარებაზე. სასწავლო გარემო სრულად პასუხობს კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, რაც გულისხმობს ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. **2..2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი მთლიანად ეფუძნება სასკოლო კურიკულუმს და მისი დაგეგმვა ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

	კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. **2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში ეყრდნობიან კურიკულუმში ასახულ მიზნებს, სამიზე ცნებებს, საკითხებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, დიფერენცირებულ მიდგომებსა და ინკლუზიურ პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ინტერესების გათვალისწინებას და მათი ციფრული უნარების ეფექტიან განვითარებას. **2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა უნარების განვითარებისაკენ და უბიძგებს მათ კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და შემოქმედებით საქმიანობაში ჩართვისაკენ. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რაც ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს უწყობს შემეცნებითი პროცესების გააქტიურებას. ამასვე მოწმობს მათ მიერ შემოქმედებითი დავალებისა თუ პროექტის ფარგლებში შექმნილი და გადმოგზავნილი პროდუქტების ფოტო-ვიდეო მასალა. **2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა უზრუნველყოფს ოპერატიულად და მოქნილად უპასუხოს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ სხვადასხვა საჭიროებას. სკოლის შიდა რეგულაციებითა და შესაბამისი დოკუმენტებით განსაზღვრულია მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ეფექტიან მართვას.
სკოლის შინაგანაწესით დადგენილია მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ადმინისტრაციის ინფორმირების წესი, აღნიშნული მექანიზმი საშუალებას იძლევა სკოლამ სწრაფად მოახდინოს რეაგირება მოულოდნელ სიტუაციებზე და თავიდან აიცილოს სასწავლო პროცესის შეფერხება. სკოლას აქვს სასწავლო პროცესში შემცვლელი მასწავლებლის გამოყენების პრქტიკა.
სკოლაში სასწავლო წელი დაგეგმილია წინასწარ განსაზღვრული საგანმანათლებლო აქტივობების შესაბამისად. საგნობრივი კათედრები გეგმავენ დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარების პერიოდებს, ასევე განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სისტემურობასა და გამჭვირვალობას. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრები საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ სასწავლო პროცესის კორექტირებას.
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესიც ეფუძნება სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების ანალიზს. მასწავლებლები და კათედრები სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვების, დიაგნოსტიკური შეფასებებისა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავენ გაუმჯობესების მიმართულებებს და გეგმავენ შესაბამის ცვლილებებს. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ სკოლა დროულად რეაგირებდეს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებზე და სწავლა-სწავლების პროცესი იყოს მოქნილი, მოსწავლეზე ორიენტირებული და ეფექტიანი.
ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ რუბრიკებში ასახულია ცოდნა, რომლის გაზომვაც სურს მასწავლებელს, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი	თითოეული საგნის ფარგლებში შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია

მეცნიერებები	ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების მასწავლებლები შეფასების პროცესში ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, ამოცანებსა და მიზნებს. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ადასტურებს შეფასების სისტემის ვალიდურობასა და სანდოობა. რუბრიკებში მკაფიოა კავშირია საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებსა და კონკრეტულ საგნობრივ საკითხებს შორის. შეფასების რუბრიკები გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისთვის. **რჩევა:** რჩევა მიემართება საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეულ საგანს, რომელშიც განმსაზღვრელი შეფასება იწერება: სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულები თანაბრად გადანაწილდეს იმ სამიზნე ცნებებზე, მათთან მიმართებით მისაღწევ შედეგებზე, რომლებიც კონკრეტული საკითხების ფარგლებში მუშავდება. ბუნდოვანია, რიგ შემთხვევებში რა პრინციპით ნაწილდება არათანაბარი ოდენობის ქულები სხვადასხვა შედეგთან მიმართებით. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. შეფასებისას გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. საგნების მასწავლებლებლები შემაჯამებელ დავალებებს ამოწმებენ წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემებით და შერჩეულ შეფასების რუბრიკებს, რომელთაც აცნობენ მოსწავლეებს, რაც დასტურდება, როგორც გასაუბრებისას მიღებულ ინფორმაციაზე, ასევე, შემაჯამებელი დავალების ნიმუშზე დაყრდნობით. ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ ისინი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას ითვალისწინებენ: საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს, მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია თემების ფარგლებში და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კრიტერიუმები და შეფასების დონეები ძირითადად ჩამოყალიბებულია მკაფიო და მოსწავლეებისთვის გასაგები ენით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებს დამატებით დაზუსტებას, რათა შეფასების მოთხოვნები უფრო მკაფიო და ხელმისაწვდომი გახდეს მოსწავლეებისთვის. **რჩევა:** სასურველია, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმსაზღვრელი

	შეფასების რუბრიკებში თითოეულ ქულას ახლდეს შესაბამისი აღწერა (რა შემთხვევაში იწერება 1, 2, 3 და ა.შ. ქულა), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს. სასურველია, სამივე საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფორმულირებული იყოს მარტივი და მკაფიო ენით, ხოლო კრიტერიუმები ზუსტად და ნათლად იყოს განსაზღვრული. ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უკეთ გაგებას როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მხრიდან დ უზრუნველყოფს შეფასების სისტემის უფრო მაღალ ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას. მიზანშეწონილია, რომ VIII კლასის შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემაში ქულების განაწილება იყოს უფრო დაბალანსებული. მაგალითად, მუსიკალური ფრაგმენტის იდენტიფიცირებისთვის მინიჭებული 2 ქულა შესაძლოა არაპროპორციულად დიდი წილი იყოს, რადგან ერთ შეცდომას მოსწავლის საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. მიზანშეწონილია ქულების გადანაწილების გადახედვა ისე, რომ შეფასება უფრო ობიექტურად ასახავდეს მოსწავლის ცოდნასა და უნარებს და უზრუნველყოფდეს შეფასების სისტემის სამართლიანობასა და სანდოობას. **2.2.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება მხოლოდ შედეგის დაფიქსირებას არ გულისხმობს და იგი განიხილება როგორც უწყვეტი, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი. აღსანიშნავია, რომ სკოლაში შემუშავებული შეფასების რუბრიკები პირდაპირ არის დაკავშირებული იმ აქტივობებთან, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში. თითოეული რუბრიკა შეესაბამება კონკრეტული აქტივობის შინაარსსა და მიზანს. მათში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, წინასწარ გაეცნონ შეფასების სტანდარტებს. ამგვარად, შეფასება ეფუძნება განსაზღვრულ მოლოდინებს და ნაკლებად არის დამოკიდებული სუბიექტურ მიდგომებზე. ვერიფიკაციის დოკუმენტების მიხედვით, მასწავლებლები პერიოდულად აანალიზებენ შეფასების პრაქტიკას, რაც კიდევ უფრო ამყარებს შეფასების სისტემის ობიექტურობასა და სანდოობას. **რჩევა:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.

	2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ დანერგილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ყველა ხარისხობრივ კრიტერიუმს. ვალიდობა დასტურდება იმით, რომ შეფასების რუბრიკები პირდაპირ ზომავს სამიზნე ცნებების — კანონზომიერების, მოდელისა და ლოგიკის — დაუფლების დონეს. გამჭვირვალობა მიიღწევა იმით, რომ შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი (მაგალითად, პროექტის დაწყებისას). ობიექტურობას კი უზრუნველყოფს მრავალდონიანი შეფასების სქემები, რომლებიც გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომებს და ფოკუსირებულია მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივ ანალიზზე. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება სამიზნე ცნებებს და კონკრეტულ თემებს. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოსწავლეთა შეფასების სისტემა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად,დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს შემუშავებული შეფასების რუბრიკები, შეფასება ეფუძნება მრავალმხრივ მიდგომებს - პრაქტიკულ დავალებებს, პროექტებს, პრეზენტაციებს, ელექტრონულ აქტივობებს და ციფრულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სამართლიან და ობიექტურ შეფასებას. მასწავლებელს ესმით, რომ წინასწარ უნდა აცნობონ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები,რაც ეხმარება სწავლის სწორ დაგეგმვას და თვითშეფასების განვითარებას. ასეთი მიდგომა ქმნის გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს, სადაც მოსწავლეები კარგად ხვდებიან, რას ეფუძნება მათი შეფასება. რაც ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე (I–IV კლასებში) გამოიყენება **განმავითარებელი შეფასება**, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის მრავალმხრივ შეფასებას და სწავლის პროცესზე აქტიურ ზემოქმედებას. კერძოდ, მასწავლებლები თითქმის ყველა საგანში იყენებენ განმავითარებელ კომენტარს, აღწერით უკუკავშირს, რომელიც განსაზღვრავს მიღწევის დონეს და იძლევა ინფორმაციას პროცესის შემდგომი დაგეგმვისათვის. შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას, რადგან შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და

	ზომავს საგნის სტანდარტის შედეგებს, არის წინასწარ შემუშავებული და მორგებული კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლაში დანერგილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლსა და სტანდარტებთან შესაბამისობას. სკოლაში შემუშავებულია შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის მიზნებს, პროცედურებსა და მონაწილე მხარეების პასუხისმგებლობებს.
ვერიფიკაციის პროცესის ძირითადი პრინციპებია შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა და სანდოობა. აღნიშნული პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სამართლიან და სანდო შეფასებას. ვერიფიკაციის პროცესში ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია - პროცესს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე.
ვერიფიკაციის პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად სკოლაში ასევე შემუშავებულია რისკების შეფასების დოკუმენტი, რომელიც ეხმარება ადმინისტრაციასა და საგნობრივ კათედრებს წინასწარ განსაზღვრონ შესაძლო რისკები და დაგეგმონ შესაბამისი ღონისძიებები. კათედრები აქტიურად მონაწილეობენ ვერიფიკაციის პროცესში – როგორც ერთობლივი მუშაობის ფარგლებში, ისე ინდივიდუალური მასწავლებლების დონეზე.
სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტის ზოგადი ფორმა, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და გამოიყენება შეფასების პროცესის ანალიზისა და გადამოწმებისთვის. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშებში, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს სისტემის ეფექტიანობა და საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმოს შესაბამისი ცვლილებები. აღნიშნული პრაქტიკა მიზნად ისახავს შეფასების სისტემის მუდმივ გაუმჯობესებას და მის შესაბამისობას საგანმანათლებლო სტანდარტებთან.
ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

კანონის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით, რაც სასკოლო სასწავლო გეგმაშია ასახული.
ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შემაჯამებელი დავალებები/მოსწავლეთა შეფასებები ტექნოლოგიებში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები ტექნოლოგიებში;
- მათემატიკის კათედრის შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები: 1. "მსოფლიოს უდიდესი 10 ქვეყანა მოსახლეობის მიხედვით და ინტერნეტიზაცია" მე-5 კლ. 2.პაროლის ამოცნობა მე-7კლ. 3."პოსტერის შექმნა-ხდომილობა მათეამტიკაში"- მე-12 კლ. და სხვა კლასების ანალოგიური ნიმუშები. წარმოდგენილია თითოეული დავალებისთვის მოსწავლის ნამუშევარი
- ინტეგრირებული და დიფერენცირებული გაკვეთილების გეგმები მათემატიკაში : ინტეგრირებული ინგლისურთან, მე-7კლ.
- პროექტის გეგმა მათემატიკაში: მე-11 კლასის ინტერდისციპლინური პროექტი „ოქროს კვეთა და ფიბონაჩის რიცხვები"
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მათემატიკაში: შეფასების სქემები კომპლექსური დავალებებისთვის. მასწავლებლის შეფასება
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მატემატიკაში: შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმები, შემაკამებელი დავალების ნიმუშები.
- მოსწავლეთა /მასწავლებელთა თვითშეფასების და რეფლექსიის ბარათები მათემატიკაში: პროექტის ფარგლებში გამოყენებული ინსტრუმენტები.
- მათემატიკის კათედრის სხდომის ოქმები;
- საბუნებისმეტყველო საგნების (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) სამივე საფეხურის კურიკულუმები,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საბუნებისმეტყველო კათედრაზე;
- საბუნებისმეტყველო კათედრის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,
- საბუნებისმეტყველო კათედრის სასკოლო და სასწავლო (მათ შორის STEM) პროექტები,
- დაწყებითი და საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმები,
- ქიმიის წრის ოქმი,
- დამხმარე რესურსების ჩამონათვალი და დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი,
- საბუნებისმეტყველო კათედრის სამოქმედო გეგმა, პორტფოლიო და კათედრის ანგარიში,
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები - შეფასების რუბრიკებით საბუნებისმეტყველო კათედრაზე;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- ესთეტიკის კათედრის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ესთეტიკის კათედრაზე;
- ესთეტიკის კათედრის შემოქმედებითი ტიპის დავალების და მოსწავლეთა ნამუშევრები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ესთეტიკის კათედრაზე;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები;
- დაწყებით კათედრაზე განმავითარებელი შეფასების მაგალითები;
- დაწყებითი კათედრის ოქმები;
- კომპლექსური დავალებების მაგალითები დაწყებით კათედრაზე.
- სკოლის შინაგანაწესი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები (მათ შორის დამხმარე სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, ვირტუალური ლაბორატორია, სიმულაციები, ვიდეო გაკვეთილები, აუდიო ჩანაწერები - რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა სხვა მატერიალური რესურსების (მანიპულატივები ბურთულ ღეროვანი მოდელების ასაწყობად, ბიოლოგიური პრეპარატების, მოდელების, სხვადასხვა ხელსაწყოების (მიკროსკოპის, ელექტრომოწყობილოებების და სხვა) გამოყენება. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	თითოეული საგნის ფარგლებში ძირითად რესურსებად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა კურიკულუმებში ვხვდებით დამატებით ლიტერატურას/რესურსებს როგორც მატერიალური, ასევე, ელექტრონული რესურსების სახით. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რამდენადაც იგი მოიცავს ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მათში მოცემულ დამატებითი მასალების ბმულებს და დამატებით ელექტრონულ რესუსრსებს, რომელებიც მიემართებიან სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებს, სამიზნე ცნებებს/ქვეცნებებს და შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას. რესურსები განსაზღვრულია კლასებისა და საგნების მიხედვით უშუალოდ საგნის მასწავლებლების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. მათი შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი და საგნობრივი თავისებურებები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას. სკოლის დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები. გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მრავალფეროვანი დამატებითი მასალები - თვალსაჩინოებები, ინტერნეტრესურსები და სხვა დამხმარე რესურსები, რაც ზრდის სასწავლო პროცესის დინამიკურობასა და მოსწავლეთა ჩართულობას. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის სახელმწიფო ენის კურიკულუმით, სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები), ასევე სხვადასხვა ტიპის დამხმარე მასალები. მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ ისე, რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებაში. გამოიყენება ვიზუალური, აუდიო და ციფრული მასალები, რაც ხელს უწყობს თემების უკეთ გააზრებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია და შეესაბამება როგორც გაკვეთილის მიზნებს, ისე მოსწავლეთა საჭიროებებს. სკოლაში ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა და სხვადასხვა დამატებითი რესურსი, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას. სასწავლო მასალები გამოიყენება არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში, არამედ კლასგარეშე აქტივობების ფარგლებშიც. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლაში მათემატიკის სწავლება ეფუძნება მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებს, რაც

	უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების — მათემატიკური მოდელის, კანონზომიერებისა და ლოგიკის — სიღრმისეულ გააზრებას. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დამატებითი სახელმძღვანელოები და დამხმარე პლატფორმები: GeoGebra, ხანის აკადემია, ტელესკოლა და Math.ge-ს რესურსები (მათ შორის დამხმარე ელექტრონული სახელმძღვანელო „მათემატიკური წიგნიერება“). ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს აბსტრაქტული ცნებების ვიზუალიზაციას და ეხმარება მოსწავლეებს ლოგიკური კავშირების დანახვაში. რესურსების შერჩევა ხდება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. **რჩევა:**სასურველია, დამხმარე რესურსების გამოყენება მე-12 კლასის მათემატიკის კურიკულუმშიც გააქტიურდეს (მაგალითად, Desmos-ის გრაფიკული კალკულატორი ან აკადემიური პორტალები), რათა მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნის განზოგადება, პრაქტიკული მათემატიკური წიგნიერების ამაღლება და უკეთ მომზადება საშუალო საფეხურის დასკვნითი ეტაპისთვის. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლას გააჩნია ის მატერიალური რესურსი (სპორტული ინვენტარი), რომელიც მითითებულია კურიკულუმებში. ასევე, საგანმანათლებლო რესურსიც მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში - დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითადი რესურსები მოიცავს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელ.რესურსს https://school.emis.ge/ ასევე იყენებენ დამხმარე დამატებითი რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დიფერენცირებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. მასწავლებელი აქტიურად იყენებს და საჭიროებისამებრ იყენებენ რესურსებს, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და კურიკულუმთან შესაბამისობას. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით განსაზღვრულია სხვადასხვა სახის რესურსების გამოყენება სასწავლო როცესში, რომელთა ნუსხასაც, როგორც სავალდებულო, ასევე არასავალდებულო რესურსებს, განსაზღვრავს კათედრა და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. შესაბამისად, კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი თუ დამხმარე სახელმძღვანელოები ავტორებითა და გვერდებით, ასევე, ჩანს რიგ შემთხვევებში გამოსაყენებელი ელ. ბმულები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათ აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეების მიერ

	შექმნილი რესურსები, მაგ: გეომეტრიული ფიგურები, რესურსები წილადების სწავლებისათვის, რასაც წარმატებით იყენებენ მომდევნო სასწავლო წლებშიც. **სასურველია**, გაამდიდრონ დაწყებითი კლასის კურიკულუმები მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსებით. მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებზე განთავსებულ ელ. რესურსებზე. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი ოქმის მიხედვით, წლის დასაწყისში ხდება ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსების (დამხმარე სახელმძღვანელოები - კრებულები (ფიზიკასა და ქიმიაში), ელექტრონული და მატერიალლური რესურსები) შერჩევა. სკოლას შემუშავებული აქვს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმის და კატედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უზრუნველყოფენ სკოლაში არსებული ყველა სასწავლო რესურსის ვალიდაციას. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრებზე ურთიერთშეთანხმებულად ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების არჩევა/გამოყენება. აღნიშნული რესურსები მოიცავს ასაკის მიხედვით შერჩეულ დამხმარე ლიტერატურას, მასწავლებლების მიერ წინასწარ შერჩეულ ელექტრონულ რესუსრსებს და მასწავლებლის წიგნში მითითებული დამატებითი რესურსებს. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას შემუშავებული აქვს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი, რომლის საფუძველზეც ხდება რესურსების მიზანშეწონილობის, სანდოობისა და ხარისხის შეფასება. კათედრის წევრები განიხილავენ წარმოდგენილ რესურსებს და იღებენ გადაწყვეტილებას მათი სასწავლო პროცესში გამოყენების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების მიზნობრივ და ხარისხიან შერჩევას. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება განსაზღვრული პროცედურების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან. სკოლაში მოქმედებს შეთანხმებული მიდგომა რესურსების შერჩევის პროცესში – მასწავლებლები განიხილავენ ახალ სასწავლო მასალებს და აფასებენ მათ მიზნობრიობას. შერჩევისას უპირატესობა ენიჭება იმ რესურსებს, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ, კოგნიტურ და საგნობრივ საჭიროებებს. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლა ახორციელებს დამხმარე რესურსების სისტემურ ვალიდაციას მათემატიკის კათედრის დონეზე. ნებისმიერი დამატებითი მასალა (ამოცანათა კრებულები, ვიდეო-გაკვეთილები, ინტერნეტ-რესურსები) მოწმდება საგნობრივი კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობაზე. ვალიდაციის პროცესში ყურადღება ექცევა რესურსების აკადემიურ სიზუსტეს, მათ შესაბამისობას ესგ-ით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან და ეთიკურ ნორმებთან. კათედრის სხდომებზე ხდება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ხარისხობრივ მდგრადობას. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნოვრივ კათედრაზე განხილვის შედეგად. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებასა და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. მასწავლებლები ირჩევენ მხოლოდ ეფექტურ და მიზნობრივ მასალებს, ახორციელებენ ვალიდაციის პროცესს და ითვალისწინებენ რესურსების შესაბამისობას კურიკულუმთან, მოსწავლეთა საჭიროებებთან და სასწავლო მიზნებთან. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები რეალურად დაეხმარებიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა წარმატებას **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრების საშუალებით ახორციელებს იმ **დამატებითი სასწავლო რესურსების აღრიცხვას**, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. კათედრის სხდომებზე განიხილება ამ რესურსების გამოყენების შედეგები, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიანობისა და მიზნობრიობის შეფასებას. მიღებული დასკვნების საფუძველზე, **სკოლა**

	ადგენს რესურსების ვალიდაციას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მათი შემდგომი გამოყენების შესახებ მომავალ სასწავლო წელს. აღსანიშნავია, რომ კათედრის ოქმებში ასახულია ელექტრონული რესურსების ბმულებიც, რაც ადასტურებს ციფრული რესურსების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში და მათი გამოყენების გამჭვირვალობას. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნებში სამი (ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის) ლაბორატორია - ცალკე საპრეპარატო ოთახით, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით (არის რეაქტივები და ქიმიური ჭურჭელი, ბიოლოგიური პრეპარატები, ორგანოების მოდელები, ხელსაწყოები და სხვა). სამივე ოთახი აღჭურვილია გამწოვი სისტემით, სველი წერტილებით. როგორც ინტერვიუთი გამოიკვეთა, სკოლაში სამივე საგანში ტარდება ექსპერიმენტები. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეებს თანაბრად შეუძლიათ

	გამოიყენონ საჭირო რესურსები. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფილია კურკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად შესაბამისი მატერიალური რესურსით. ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ პროექტორი, დინამიკები და სხვა დამხარე რესურსები. სკოლას აქვს მზაობა, საჭირო სივრცე და საკმარისი მატერიალური რესურსი სასწავლო პრეცესის მიხნის შესავამისად განსახორციელებლად. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური ბაზით, რომელიც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივ და ტექნოლოგიურ რესურსებს. სასწავლო სივრცეები (დაფები, მერხები, სკამები, ტექნიკა) ადეკვატურად შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება დადგენილ ზღვრულ ნიშნულს, რაც ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას ქმნის. სკოლა უზრუნველყოფს აუდიტორიების შესაბამისობას როგორც ასაკობრივ, ისე საგნობრივ მოთხოვნებთან. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, გაამრავალფეროვნონ გაკვეთილები ვიზუალური, პრაქტიკული და ციფრული რესურსების გამოყენებით. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა გამყარებულია სკოლის ადეკვატური მატერიალური ბაზით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის სრული გათვალისწინებით, რაც ქმნის ოპტიმალურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი. სწავლა სწავლების პროცესის ხელშესაწყობად სასკოლო სივრცე, აღჭურვილია აუცილებელი მატერიალური რესურსებით. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით (სპორტული ინვენტარით), რომელიც მითითებულია საგნობრივ კურიკულუმებში. სკოლას აქვს დიდი სპორტული დარბაზი, რომელშიც განთავესებული კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე, ტანვარჯისული სკამები. ასევე, ცალკე ოთახში განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა შესაბამისი ინვენტარით

	(ჩოგნები, ბურთები). **რჩევა:** სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს ტანვარჯიშის სპორტული ინვენტარი (მაგ., ტანვარჯიშის ლეიბები, ტანვარჯიშის კედელი, ბაგირი), რომ გაკვეთილზე შესაძლებელი გახდეს მრავალფეროვანი ვარჯიშების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვას. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სწავლების ეფექტიანობა ხელშეწყობილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური ბაზით. სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლების სხვადასხვა ფორმებში, გათვალისწინებულია კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, რათა ჯგუფში თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს ინდივიდუალური და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პრაქტიკული უნარების განვითარებას. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. მასწავლებლებს აქვთ წვდომა ტექნოლოგიურ რესურსებზე, რაც მათ საშუალებას აძლევს კლასში, პროექტორის დახმარებით, უზრუნველყონ სხვადასხვა დამხმარე მასალის გამოყენება საკითხების ძირეული შესწავლისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია 35 მასწავლებელი - 29 უფროსი მასწავლებელი და 6 წამყვანი მასწავლებელი. სკოლას ჰყავს 1 სსსმ მასწავლებელი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები სახელმწიფო ენაში (პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით)
- ელექტრონული წიგნები და ანიმაციები სახელმწიფო ენაში
- შეფასების რუბრიკები სახელმწიფო ენაში
- დანართი 21 კითხვის-გაკვეთილზე-დაკვირვების-ფორმა (სახელმწიფო ენა);
- დანართი 35 -ქართული წლიური ანგარიში
- პროექტი სკოლისთვის- "გვისახსოვრეთ წიგნები, ბედნიერნი ვიქნებით" (სახელმწიფო ენა)
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსები - პრეზენტაცები - სახელმწიფო ენის კათედრა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები სახელმწიფო ენაში;
- დიფერენცირებული გაკვეთილების ნიმუშები სახელმწიფო ენაში
- დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების დამადასტურებელი გაკვეთილების ნიმუშები: ბარათაშვილის მერანი, ეპოქა, ისტორია, დიაგრამა და ლექსიკა. სასწავლო გაჩერებების მაგალითი ,,ვეფხისტყაოსნის" მიხედვით.
- ინტეგრირებული გაკვეთილების ნიმუშები: ,,ჯანსაღიცხოვრება Healhty lifestyle",, ,,სწავლა აღზრდა- წიგნი და მისი მნიშვნელობა"
- ისგ გეგმები
- ბიბლიოთეკის დებულება
- კათედრის სხდომის ოქმი
- გაკვეთილზე-დაკვირვების-ფორმა
- ინკლ.განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა
- ლეპტოპების მიღება-ჩაბარება
- კომპიუტერები კათედრებს
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა: რესურსების, შემაჯამებლებისა და სახელმძღვანელოების ჩამონათვალი.
- დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- მასავლებლების ბაზა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლაში კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით – „სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც დეტალურად არის გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების ფორმები, პასუხისმგებელი პირები და პროცესის ეტაპები.

მონიტორინგის პროცესში ჩართული არიან როგორც მასწავლებლები და საგნობრივი კათედრები, ისე სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის კათედრის დებულების მიხედვით, პედაგოგები ინდივიდუალურად და კათედრების დონეზე ახორციელებენ კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების, მიღებული შედეგების ანალიზს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გეგმავენ ცვლილებებს.

მონიტორინგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს დიაგნოსტიკური წერები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელება და რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა შედეგები დაგეგმილ სასწავლო მიზნებს.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკაყოფილებულია

2.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მიზანია არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის ანალიზი, არამედ გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები განიხილება საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე, სადაც ხდება სწავლა-სწავლების პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა.

კათედრები მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესში შესაბამის ცვლილებებს, ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების ან სასწავლო აქტივობების დახვეწას და საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმის გადახედვას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებას და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ასევე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც კათედრების ანგარიშებისა და გაკვეთილებზე დაკვირვების საფუძველზე აანალიზებს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილებას და პრობლემების გადაჭრას.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკაყოფილებულია

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ კონტროლზე, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოიყენება მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიწოდების, გამოცდილების გაზიარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

საგნობრივი კათედრების ფარგლებში მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკებს, განიხილავენ სასწავლო პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებს და ერთობლივად გეგმავენ მათი გადაჭრის გზებს. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა ხელს უწყობს პროფესიული მხარდაჭერის გარემოს ჩამოყალიბებას.

ამასთანავე, სკოლის ადმინისტრაცია მონიტორინგის პროცესში აქტიურად არის ჩართული როგორც გაკვეთილებზე დაკვირვების, ისე თვითშეფასების პროცესის მეშვეობით. მიღებული უკუკავშირი და რეკომენდაციები მიმართულია მასწავლებლების საქმიანობის მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. სკოლას შემუშავებული აქვს რისკების სისტემა, რაც ეხმარება პროცესის სწორად დაგეგმვასა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაში.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პედსაბჭოს სხდომების ოქმები;
- მათემატიკისა და ისტის კათედრების ანგარიში;
- საბუნებისმეტყველო კათედრის ანგარიში;
- უცხო ენების კათედრის ანგარიში;
- დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი;
- ხელოვნების მასწავლებლის ანგარიში;
- დიაგნოსტირების ტესტის ნიმუშები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის ობიექტურ და მრავალმხრივ შეფასებას. სკოლის სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობებისა და დავალებების საფუძველზე. შეფასების ძირითად წყაროებს წარმოადგენს საკლასო აქტივობები, საშინაო დავალებები და შემაჯამებელი სამუშაოები. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს როგორც მოსწავლის ცოდნის საბოლოო შედეგის

დაფიქსირებას, ისე სწავლა-სწავლების პროცესში მისი პროგრესის მხარდაჭერას. გარდა ამისა, შეფასების მნიშვნელოვანი წყაროა დიაგნოსტიკური წერები, რომლებიც ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეთა საწყისი ცოდნისა და საჭიროებების განსაზღვრაში. შეფასების პროცესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაში, მათ შორის შიდასასკოლო და არაფორმალური განათლების პროექტებში.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლაში მოსწავლეთა შეფასების პროცესი განხორციელებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით და მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა საქმიანობას.

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, მათ მონაწილეობას პროექტებში, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებსა და ინიციატივებში. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ძლიერი მხარეების გამოვლენას, რაც ასევე განიხილება შეფასების პროცესში.

მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ როგორც აკადემიურ მიღწევებს, ასევე მოსწავლეთა პროგრესს, ჩართულობას, მოტივაციასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოში გამოვლენილ უნარებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის კომპლექსურობას და მოსწავლის განვითარების სრულყოფილ აღქმას.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლაში შეფასების პროცესში გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის სრულყოფილ ანალიზს. აღნიშნული მეთოდები მოიცავს წერით დავალებებს, დიაგნოსტიკურ წერებს, საკლასო მუშაობაზე დაკვირვებას, შემაჯამებელ დავალებებსა და სხვადასხვა ტიპის სასწავლო აქტივობებს.

შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა და მათი გამოყენება ხორციელდება საგნობრივი კათედრების მიერ. კათედრების შეხვედრებზე განიხილება შეფასების ინსტრუმენტები, მათი ეფექტიანობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან. საჭიროების შემთხვევაში კათედრები ახდენენ აღნიშნული ინსტრუმენტების დახვეწასა და გაუმჯობესებას.

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესს ხელს უწყობს სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის და მიღებული შედეგების გადამოწმებასა და ხარისხის უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლაში მოსწავლეთა შეფასების პროცესი ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებას და მიზნად ისახავს მოსწავლის აკადემიური პროგრესისა და განვითარების მრავალმხრივ შეფასებას. სკოლის სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შეფასების სისტემას, რომელიც ეფუძნება ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ვალიდურობის პრინციპებს.

მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია როგორც მათი აკადემიური შედეგები, ასევე სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი პროგრესი, აქტიურობა და ჩართულობა. შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც მიღწეული შედეგი, ისე მოსწავლის განვითარება.

შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების სანდოობასა და ობიექტურობას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა მიღწევების სამართლიან შეფასებას და სწავლა-სწავლების პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კათედრების ანგარიშები
- დიაგნოსტირების ტესტის ნიმუშები;
- მოსწავლის ნაშრომის ნიმუში;
- შეფასების რუბრიკები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლაში კურიკულუმის განვითარების პროცესის ეფექტიანობა უზრუნველყოფილია მონიტორინგის, შეფასებისა და რევიზიის სისტემური პროცედურებით, რომლებიც გაწერილია დოკუმენტში – „სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული პროცედურები მიზნად ისახავს კურიკულუმის უწყვეტ გაუმჯობესებას, მისი შესაბამისობის უზრუნველყოფას სასკოლო საზოგადოების საჭიროებებსა და სასწავლო პროცესის ხარისხის სტანდარტებთან.

დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შეფასება მიმდინარეობს როგორც ინდივიდუალური მასწავლებლების, ისე საგნობრივი კათედრების დონეზე. თითოეული მასწავლებელი აფასებს საკუთარ სასწავლო პრაქტიკასა და კურიკულუმის კომპონენტებს, ამაზე დაყრდნობით იდენტიფიცირდება საჭიროებები და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები ცვლილებების შესატანად. აღნიშნულ პროცესს და შედეგებს აღწერენ საკუთარ ანგარიშში და წარუდგენენ ადმინისტრაციას.

სკოლის ადმინისტრაცია ახორციელებს ზედამხედველობას და პროცესის კოორდინაციას. ადმინისტრაცია სწავლობს კათედრების ანგარიშებს, აკვირდება გაკვეთილების განხორციელებას და აფასებს კურიკულუმის ეფექტურობას. აღნიშნული ზედამხედველობა

საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს სუსტი მხარეები, დაიგეგმოს მხარდაჭერის საჭიროებები და უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის ხარისხიანი, მიზნობრივი განვითარება. შედეგად, წარმოიქმნება კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც მხარს უჭერს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროცესსა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კურიკულუმის გადამუშავების პროცესს, რომელიც ეფუძნება სკოლის წინარე გამოცდილებას და სისტემატურად იღებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ეს პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმის უწყვეტ გაუმჯობესებას და მის შესაბამისობას სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებთან.

გადამუშავებული კურიკულუმის შექმნა ხორციელდება მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომით: მასწავლებლები და საგნობრივი კათედრები აფასებენ კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტებს, ატარებენ თვითშეფასებას, განიხილავენ გაკვეთილების ეფექტიანობას და სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს უკუკავშირს, სწავლობს კათედრების ანგარიშებს და აკონტროლებს კურიკულუმის განხორციელების ხარისხს. გარდა ამისა, მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასებები უზრუნველყოფს პირადი გამოცდილების და სწავლის შედეგების შეფასების ჩათვლას.

მთლიანი მონიტორინგისა და შეფასების პროცესი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, და, შესაბამისად, გადამუშავებული ვერსია მაქსიმალურად ეფუძნება სკოლის წინარე გამოცდილებას.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქ. ჭიათურის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პედსაბჭოს სხდომების ოქმები;
- მათემატიკისა და ისტის კათედრების ანგარიში;
- საბუნებისმეტყველო კათედრის ანგარიში;
- უცხო ენების კათედრის ანგარიში;
- დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი;

- ხელოვნების მასწავლებლის ანგარიში;
- დიაგნოსტირების ტესტის ნიმუშები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 16.03.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: Maka Tukvadze Digitally signed by Maka Tukvadze Date: 2026.03.23 15:06:41

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი -----მარიამ იაშვილი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი --- შორენა გაგუა

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი --- ირმა ბოლქვაძე

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი -----ქეთევან ბერიძე

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი --- ლედი კუთხაშვილი

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი --- ინგა კაჭარავა

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი ----სოფიო ჯგერენაია

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი------- თამარი მურუსიძე

სპორტის საგნობრივი ექსპერტი -------ქეთევან ქობალია

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი ---მანანა როსტომაშვილი

თარიღ: 23/03/2026